

№ 18

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 18

რედაქცია და კანტორა

ტფილისი, პლენანოვის პროს. სასტუმრო „ნოე“ ოთახი № 102.

ვ ა ს ი

5 კაბ. მაჯალოო ოქროთი

რედაქცია და კანტორა

ლიაა ყოველ დღე გარდა კვირა უძმისა დილის 8 ს. შუგდ. 1 ს.-ღუ.

### კველი ლიკვიდატორობა ახალ ფორმებში

ძველი ლიკვიდატორული მიმართულება ს. დემოკრატიულ პარტიაში ყველამ ვიცით როგორ იყო.

პარტიის ერთმა ნაწილმა, ან სწორედ რომ ვთქვათ, მენშევიკური ფრაქციის ერთმა ფრთამ გამოაცხადა გაუქმებულად არალეგალური ორგანიზაციები და მიზნად დაისახა მხოლოდ კულტურულ დარგში მუშაობა თვითმპყრობელობის პირობებში.

სწორედ ასეთი ფორმის წინადადება შემოიტანა ს. დევდარიანმა 12 მარტს ყოფილ მენშევიკების ვიწრო კრებაზე.

მან განაცხადა: უნდა შეიქმნეს ორი კომისია, რომელშიაც შევლენ ერთი მხრით ყოფილი მენშევიკები, მეორე მხრით კომუნისტები. ერთ კომისიას უნდა მიენდოს მარქსიზმის და ლენინიზმის შესასწავლ საზოგადოების მოწყობა. მეორე კომისიის ფუნქციებს უნდა შეადგინდეს კულტურულ ფრონტზე მუშაობა: წერაკითხვის უკოდინარობის ლიკვიდაცია, ქართული წიგნის გამომცემლობა და სხვა.

ს. დევდარიანი ფიქრობს, რომ ყოფილი მენშევიკები ჩაბას ამ მუშაობაში და ამით მისცეს მათ თავისი ცოდნის და უნარის გამოჩენის საშუალება.

მაგრამ ს. დევდარიანს დაავიწყდა ერთი.

— საბჭოთა ხელისუფლების დროს მუშათა კლასის რიგებში არ შეიძლება დაპირდაპირება: ჩვენ და თქვენ.

ყოფილი მენშევიკები, თანახმად ყრილობის გადაწყვეტილებებისა, დაადგენ მისამე ინტერნაციონალის პლატფორმაზე.

ეს იმას ნიშნავს, რომ ყოფილი მენშევიკები მიუხედავად იმისა არიან თუ არა პარტიაში, ერთ მთლიან მუშათა ოჯახში ირიცხებიან.

ყოფილმა მენშევიკებმა მიიღეს საბჭოთა ხელის უფლება.

ეს კიდევ იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა აღმშენებლობაში ჩვენ ყველანი პასუხის მცებელი ვართ.

ამიტომ აქ არაა ორი მხარე. არის ერთი მხარე: პროლეტარიატის დიქტატურა, რომელსაც ემორჩილებიან ყველა ანტი-პროლეტარული და ანტიხოციალისტური ელემენტები. ს. დევდარიანი ბევრს ლაპარაკობს ყოფილ მენშევიკების კომუნისტებთან დაახლოების საჭიროებაზე.

ყოფილი მენშევიკები ს. დევდარიანის დაუკითხავად კარგა ხანია დაუახლოვდნენ კომუნისტებს და მიიღეს კომპარტიის ხაზი რევოლიუციის და ქვეყნის აღმშენებლობის საკითხში.

ს. დევდარიანის რეცეპტი კი აშორებს ყოფ. მენშევიკებს კომპარტიას..

**პარტიტული ან შერეული კომისიების შექმნა—ეს უკვე დაპირდაპირებაა ყოფილ მენშევიკების კომუნისტებთან.**

ასეთი რეცეპტი კაი ხანია დამემს ყოფილმა მენშევიკებმა.

დამემს ეს რეცეპტი 12 მარტის სხდომაზე დაც. მარქსიზმისა და ლენინიზმის შესწავლის წინააღმდეგი ვის რა ექნება?

ასეთი წრეები უკვე არსებობენ. თუ არ კმარა, გაავადართოვოთ. ამ წრეებში უკვე შედიან ყოფილი მენშევიკები. ვინც არ შედის, უნდა შევიდეს.

მაგრამ ეს წრეები არ უნდა გადაიქცნენ მენშევიზმის საპროპაგანდო ასპარეზად. ამ წრეებში არ უნდა ქონდეს ადგილი უკვე კონტრ-რევოლიუციონურად ქცეულ მენშევიზმის ლეგალურ პროპაგანდას.

**რაც შეეხება კულტურულ მუშაობას, ამ საქმეს სათავეში უდგას სპეციალური ორგანო, საბჭოთა ხელისუფლების მატარებელი ორგანიზაცია.**

თუ იქ ადგილი აქვს რაიმე დფექტს, ყველანი მოვლენი ვართ ეს დფექტი გამოვას-

წოროთ, მივეცთ ამ დარგს გამოკდილი მუშაკები, შევიტანოთ ამ საქმეში თავიანთი წვლილი.

მაგრამ პარალელური ორგანიზაციის შექმნა, ეს ნიშნავს ძალა-უფლების გაყოფას, განაწილებას.

ს. დევდარიანი კონტრბანდათ გვაპარებს ძველებურ ლიკვიდატორულ გამართლებას ახალ ფორმებში.

**ის ლიკვიდაციას უკეთებს არალეგალურ მენშევიზმს და ნიადაგს უმზადებს ლეგალურ მენშევიზმს.**

მთელი მისი მუშაობა დღეს აქეთყენა მემართული. შეიძლება პირადათ წინააღმდეგია ამისი, მაგრამ გზა კი აქეთ უძევს მის მუშაობას.

მისი განცხადება, რომ მენშევიზმი მართალია მარქსიზმის საკითხში, რომ მხოლოდ არალეგალური ტეკას მუშაობა ამ უკანასკნელსამ წელში არ აკმაყოფილებს მას, შემდეგ მისი მოთხოვნილება ყოფ. მენშევიკების ლეგალურ ორგანიზაციებში პარტიტულ ნიადაგზე მუშაობის შესახებ, აშკარად ამზობს, რომ ს. დევდარიანს უნდა ნიადაგი მოუშალოს ლეგალურ მენშევიზმს (რომლის ტაქტიკა და მუშაობა დამარცხდა) ლეგალურათ, კომპარტიასთან კეთილ-მეზობლურ განწყობილებაში არსებობისათვის, მაგრამ ამ კითხვაშიც ისე დამარცხდა ს. დევდარიანი, როგორც მარცხდებოდა და ცდებოდა მუდამ ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლებში.

12 მარტს გამართული კრების გაკვეთილმა უნდა ასწავლოს კუჟა ყველა იმათ, ვისაც ვერ კიდევ კალაპოტში ვერ ჩაუყენებია თავისი-ანგარეულ-ჩანგრეული პოლიტიკა, ვინც უგზო-უკვლოდ დადებუტება პოლიტიკის ვზებზე და გარკვეულ გზაზე დღემდე ვერ დამდგარა.



# ღრმა გონს მოხვიდეთ.

დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების საქართველოში უფარბელი ჭორები და ტყუილები ვრცელდებოდა და დღესაც ვრცელდება.

არ მოიძებნება დედა-მიწის ზურგზე ისეთი ქვეყანა, სადაც იმდენი ტყუილი და ჭორი გავრცელდებულა, როგორც საქართველოში. ეს არაა გადაჭარბება. ეს სრული ჭეშმარიტებაა.

ამ ჭორებით და ტყუილებით სულდგმულობდა და სულდგმულობს დღესაც ქართველი საზოგადოების მისწრაფი ნაწილი, მიმდინარეობს ხალხი და თვით არალეგალური ცეცაკი.

როდესაც ყველა იმედებს დაესვა ჯვარი და, თვით არალეგალური კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ, ს. დედარიანმა შეუბრალებლად ამხილა ყოველგვარი იმედის გაცრუება, მოხდა აგრეთვე საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობა და სხვ., ჩვენ ვფიქრობდით, რომ ამის შემდეგ მაინც შენელებოდა ვილაციის და რილაციის იმედები და გონს მოვიდოდა ჭორებით და ტყუილებით გაბრუებული ხალხი, მაგრამ მოვსტყუდით. ეს ასე არ მოხდა.

დღესაც ვრცელდება ახალი ტყუილები, ცხელი „ამბები“.

ამ ეპოქა რუსთაველის პროსპექტზე უსაქმოდ მოხეტიალე პატრიოტების გულის ყური კვლავ მაკონადალზეა მიჩრებული და ხსნას გამაოგლიან ინგლის-რუსეთის კონფერენციადან.

— იქ პოლიტიკური საკითხებიცაა დასმული, აშკარაა ეს საქართველოს განთავისუფლებას შეეხება.

— შეუძლებელია ჩვენი საკითხი ინგლისმა უყურადღებოდ დასტოვოს.

— ტყუილად ხომ არ შეიტანა კონსერვატორების წარმომადგენელმა შევითხვა პარლამენტში: აპირებს თუ არა მაკონადალი საბჭოთა მთავრობისათვის წაყენებას მოთხოვნისა საქართველოდან ჯარის გაყვანის შეჩაბება.

— კიდევ ერთი თვე და „ჩვენი საკითხი“ გადაჭრილი იქნება.

აი ასე მსჯელობენ საზღვარ-გარეთის იმედით მცხოვრები პატრიოტები.

აი რას გაიგონებთ ქართველ „საზოგადოებაში“ ყოველი ფეხის გადადგამაზე.

ამ ხალხს ჰგონია, რომ მაკონადალის მთავრობა საქართველოს გულისათვის კახუს ბელის შექმნის საბჭოთა კავშირთან.

ეს ხალხი, უსაქმო ხალხი, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს მუშათა კლასთან, ქმნის ისეთ ატმოსფერას, თითქმის ინგლისის დღევანდელი მთავრობას შეეძლოს საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეში ჩაეროის და მას ესა თუ ის მოთხოვნები წარუდგინოს ამ სფეროში.

ეს ტყუილია. ამას ჭკუაში მყოფი ადამიანი არ დაიჯერებს. მაგრამ ჩვენში იმდენად მწყურაოდ არის ჭკუასთან და სიღ მსჯელობასთან „პატრიოტული“ მისწრაფი მასა, რომ მის სჯერა დაუჯერებელი. მის სწამს ის, რაც არ უნდა სწამდეს და ამ ნიადაგზე ითხზება ჭორები, ტყუილები.

და ამით იკვებება მასა. ეს საშუალოა. მაგრამ ეს ასეა. ყოველი შეგნებული მოქალაქე უნდა ებრძოდეს ამ მოვლენას. ეს მაინებელია. შეგნებულ ელემენტებს სიმართლედ ეჩვენებათ ეს ტყუილები და ებადებათ ილიუზიები.

რომ ეს ილიუზიები უსაფუძლო და უნიადგოა, იქიდანაც სჩანს, რომ საფრანგეთში მყოფ ქართველ ხელოვანთა კავშირის თავმჯდომარე ნიკოლოზ მიწიშვილი აცხადებს პარიზში:

— „გზობით აცნობით ჩვენ მეგობრებს და საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომ ზოგიერთი პირების იმედი ევროპაზე და ყოველ მთავრზე ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ამ ილიუზიას „თავი უნდა დავანებოთ ერთხელ და სამუდამოდ“.

უსაქმურო მოპატრიოტო ხალხნო! გესმით ეს?

ამას აცხადებს ქართველი პარიზში. იქ, სადაც ვერ წვდება ტერიტორიალურად არც საქართველოს და არც რუსეთის საგანგებო კომისიის ხელები.

ეს ხმა ჩვენ გვესმის პარიზიდან, რომელიც ბუდეა ემიგრაციის.

ამას წინეთ ჩვენ ვავიგონებ ასეთივე ხმა გერმანიიდან, — ეს იყო ხმა ქართველი ახალგაზდების.

თუ იქ, პარიზში და ბერლინიში დაეკარგათ ქართველებს იმედი ევროპის დახმარებისა, აქ საქართველოში რაღასი იმედი უნდა ქონდეს ინტელიგენციის მომხრეებს? ცხადია არაფრის.

ინგლის-საფრანგეთის კონფერენცია აპრილის განმავლობაში მაინც დამთავრდება ავად თუ კარგად და მაშინ ყველა დაინახავს, რომ ევროპის იმედი უსაფუძლოა.

თუმცა ახლავ შეიძლება ითქვას, რომ გაუსწორებელ „ხალხს“ მაინც გამოიჩნდება ახალი იმედის წყარო კიდევ რომელიმე კონფერენციის სახით. კონფერენციები, როგორც ვხედავთ, არ თავდება და არც ვათავდება ახლო მომავალში. ნაზარეთიდან კარგი არაფერი გამოვა რა. საქართველოს მშრომელებმა ეს კარგა ხანია, რაც შეიგნეს და ზურგი აქციეს ევროპის შემყურე პარტიებს და ხალხს. ამით გამოინახეს ნამდვილი და სწორი გზა. ეს არის რუსეთის რევოლუციის მხარეზე გადასვლა, ამ რევოლუციის მიღება და მისი მონაპოვრების დაცვა.

ამ გზას უნდა დაადგენ ყველა შეურჩებლები და საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეები. სხვა გზა არ არის. აქეთკენ მოუწოდებთ ჩვენ ყველა ამ პოზიციის გარეშე დარჩენილ მუშას და გლეხს. ხოლო ჩვენთვის სულერთია თუ რომელ მხარეზე იდგომება მისწრაფი ინტელიგენცია, რომელსაც დღეს ყველაზე უფრო მოაქვს თავი თავისი პატრიოტობით. ეს ინტელიგენცია მკვდარია პოლიტიკურად, ის არც არალეგალურ ცეცასთვითაა გამოსადეგი. ამიტომ ასეთ ამორტულ საზოგადოების მკვდარ ნაწილზე ლაპარაკი არაა სასიამოვნო. მხოლოდ თუ მაინც ვიხსენიებთ ამ ინტელიგენციას ეს იმითომ, რომ სწორედ ეს ინტელიგენციაა დღეს ქორების და ტყუილების გამავრცელებელი.

ამერიკიდან ყოველ მუშას და გლეხს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, რომ ვითომცა და მისი ინტერესების დამცველი ინტელიგენცია გაქვირების დროს თითხაც არ დაანძრევს მუშა-გლეხობისათვის; რომ ის უმოქმედოა და მხოლოდ ქორების გავრცელებლა შეუძლია.

გ. ვარდოიანი.



## თეგეკვილი რეპოლიუსი.

შესრულდა 7 წელი მას შემდეგ, რაც ოქტომბრის წინამორბედი თებერვალი გვესტუმრა.

სწორედ 7 წლის წინ ლენინგრადის (მაშინ პეტროგრადის) ქუჩებზე გადასწყდა ბედი მონარქიული წყობილების და საბოლოოდ დაეცა თვითმპყრობელი კერა.

3 წლის ომით მოქანტული განაწამები ხალხი იძულებული შეიქნა გამოსულიყო ქუჩაში და მოეთხოვა პური, თავისუფლება, ომის შეწყვეტა.

27 თებერვალს ჯარის-კაცებმა, ფარაჯაში გამოწყობილმა მუშებმა და გლეხებმა უარი განუცხადეს თვითმპყრობელ მთავრობას სამსახურზე და თავისი იარაღით რევოლუციის მხარეზე გადავიდნენ.

ამით გადაწყდა ბედი ნიკოლოზ მე-II, მიუხედავად იმისა, რომ ის წინ ღამით დამთხაზეც კი წავიდა, პასუხისმგებელი სამინისტროც კი შესთავაზა სახელმწიფო დუმის დელეგაციას.

დაეცა ნიკოლოზ მე-II მითერობა.

მაგრამ მუშათა კლასი ვერ აღმოჩნდა საკმაოდ შეკავშირებული და დარაზმული იმისათვის, რომ ძალაუფლება ჩაეგდო.

თვითმპყრობელობის უღლისაგან განთავისუფლებულს რუსეთს სათავეში მოექცა ბურჟუაზია მილიუკოვისა და თავად ლეოვის მეთაურობით.

რუსეთის ბურჟუაზიას კი უნდოდა რევოლუცია გამოეყენებინა თავის მიზნებისათვის, მის სურდა ომი გერმანიასთან ბოლომდის მიეყვანა და მოკავშირეების გვერდში ებრძოლა „უკანასკნელ სისხლის წვეთამდის“. რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესები მოითხოვდა ომის გაგრძელებას, მას უნდოდა დაემარცხებია გერმანია, ვინაიდან გერმანიის დაუმარცხებლათ შეუძლებელი იყო რუსეთის წარმოების საკუთარ ფენზე დაყენება.

და მილიუკოვიც შეუდგა მუშაობას.

პირველი მისი ნაბიჯი ცნობილი ნოტა იყო მიმართული მოკავშირეებისადმი, რომელშიაც ის ახალ რუსეთის სახელით აღუთქვამდა მოკავშირე ინპერიალისტებს დახმარებას და ბრძოლას მათ რევებში „გამარჯვებამდის“.

მუშათა ფართო წრეებში ღიმილ აღშფოთება გამოიწვია მაშინვე ამ ნოტამ.

მენშევიეკებიც და ესერებიც იძულებული შეიქნენ ანგარიში გაეყიათ მასის ასეთი სულიერი განწყობილებისათვის და შედეგად ამას მოყვა არა ნაკლებ ცნობილი ლენინგრადის საბჭოს სხდომა, რომელსაც მაშინ კარლო ჩხვიძე მეთაურობდა.

დაეცა ლეოვის კაბინეტი.

# „რომანოვკა“

I

ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივდა კერენსკი, ესერების წერილ ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენელი.

ვის არ ახსოვს ეს პერიოდი რუსეთის რევოლუციისაში? ეს იყო ცდა რევოლუციის დასამარების.

ცდა მონარქიულ ბლოკის მიერ ძალა-უფლების კვლავ ხელში ჩაგდებისა, რომელსაც ძალიან სუსტ წინააღმდეგობას უწევდა კერენსკის მთავრობა. საკმარისია ცნობილ კორნილოვის შეტევა მოვიგონოთ.

ისევ მასხების ფართო წრეების მუშებისა და გლეხების აღშფოთებამ აიძულა კერენსკი წასულიყო კორნილოვის წინააღმდეგ.

კერენსკის მთავრობამ სცადა შეტევები, გამოსვლა გერმანიის წინააღმდეგ, მაგრამ სასტიკი დამარცხება განიცადა. ათამიშდა რა ბურჟუაზიული სალამურის ხმაზე, კისერი მოიტეხა და ტყვილათ შეაწყვიტა მტერს უამრავი მშრომელი ხალხი.

აქ დაიბადება კითხვა: რატომ მოხდა ეს?

მიიტომ მოხდა, მკითხველო, რომ ესერების და მენშევიკების პარტია ამ რევოლუციას უჭურებდნენ, როგორც ბურჟუაზიულ რევოლუციას.

ამიტომ ისინი ხელს უწყობდნენ მის ბურჟუაზიის გამომგნებაზე წარმართვას, ხოლო როგორც ვსთქვით ბურჟუაზიის ინტერესები კი მოითხოვდა გერმანიის დამარცხებას.

ამიტომ იყო, რომ მენშევიკ ესერები დიდ დახმარებას უწევდნენ ბურჟუაზიას.

კიდევ მეტი, მათ თვითონ იკისრეს ბურჟუაზიის საქმის კეთება, როდესაც აღმოჩნდა, რომ რუსეთის ბურჟუაზიის საამისო ძალა არ შესწევდა.

აბა გაიხსენეთ სანიშნუთი ჩვენი თანამემამულე წყრეთლის და კადეტების პარტიის ლიდერის ხელის ჩამორთმევა სრულიად რუსეთის თათბირზე.

ეს ხომ იგივე „სმიჩკა“ იყო სოციალ-დემოკრატიისა (მენშევიკურ ფრთის) ბურჟუაზიისათან.

და ამ სმიჩკის გასამავრებლათ, ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის გასაძლიერებლათ მენშევიკ-ესერები არ ზოგავდნენ არავითარ საშუალებას.

მაგრამ მუშათა კლასი თან და თანობით შეკავშირდა.

მან თავი მოიყარა სხბჭოების ირგვლივ, გამაგრდა იქ და ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით გადავიდა შეტევაზე.

ჯერ კიდევ რამოდენიმე თვის წინ ოქტომბრის გადატრიალებამდის, მუშათა ფართო წრეები მიემხრნენ რევოლუციონურ ნაწილს სოციალ-დემოკრატიისას (ბოლშევიკებს) და მისი დროშის ქვეშ აჯანყებაც კი სცადეს.

კერენსკის მთავრობა დაიბნა. აქ ყველაზე ნათლათ დამტკიცდა ის დებულება, რომ თანამედროვე რევოლუციები უსათუოდ მუშათა რევოლუცია არის.

ხოლო მუშათა რევოლუციის პროცესში, სადაც მკაცრი შეტაკება ხდება ორ მოპირდაპირეს შორის, სამკედრო სასიკოცლო ბრძოლა სწარმოებს მუშათა კლასის და ბურჟუაზიის შუა, შემთანხმებლები, შემრიგებლები სასტიკ დამარცხებას იგემებენ ხოლმე.

„მე სისხლი მწყურია“-ძახის გამბირი და გვამებს თხოულობს ორთავა არწივი. შემოხსდნენ ყორნები-დაიწყეს თათბირი, რომ მტარვალს მიართვან ნანატრი არწივი.

დარაჯებს მიჰყავენ მებრძოლთა გუნდები; წილად ხვდათ: კატორღა... ციმბირი... კარავი. ყველას აქვს ხელ-ფეხში ბორკილი, ზუნდები, მაგრამ ცრემლს თვალგებზე არ იჩენს არავინ.

ამბობენ: „ჯალათო, ჩვენს სიკვდილს ნუ ელი.“ „წამოდით ბრძოლაში, გაემართოთ დუელი. არ დაცხრა სტიქია და ბრძოლას აახლებს.

გათხარეს გვირაბი... იშოვეს „ნაგანი“... მალულად გავიდნენ... დასტოვეს საკანი... ამაყს და მებრძოლ სულს მტერი რას დააკლებს?!

II

ალბად მოირამ სპეტაკ შუბლზე ეს დაგაწერა: „ცხოვრება შენი არის: ბრძოლა... შრომა... ციმბირი“ და სიყრმიდანვე გული შენი დასჭრა—დასკრა, ... მაგრამ ყოველთვის ბედის წინა რჩებოდი გმირი.

შენ მოვაშორეს სამხრეთის მზის ქათქათა სხივებს და გადატყორცნეს ყინულეთში ვით დამნაშავე, (ო, მოგონება მაშინდელზე ახლაც ვაკივებს), მაგრამ ამაყ სულს ვერ იპყრობდა მტარვალთ სიაცე.

სიკვდილს მოსტაცე სისასტიკე, შიში სიმწარე; მასთან დუელი ბრძოლის ველზე არ დიხარე ... და დადგა ჟამი—აღარ არის ის აგონია.

შენი პაროლი: რევოლუციონერი... მეტეხი... „ქარავა“... ციხე... ციმბირი... „რომანოვკა“... გათხრა... გაპარვა... ... ოცი წლის შემდეგ—ეს სიზმარი იყო გაგონია.

გაროლდი.

ისინი ამ ბრძოლის პროცესში ჰკარგავენ წონასწორობას და ერთ ერთ ძალას უდგებიან გვერდში.

ასე მოხდა მაშინაც. და კერენსკის მთავრობაც თავის პარტიითურთ აღმოჩნდა მშრომელი ხალხის მოწინააღმდეგეთა ბანაკში.

რევოლუციონურ მუშათა კლასს, ისეთივე სიმკაცრით მოუხიდა ბრძოლა ესერ მენშევიკებთან, როგორც ბურჟუაზიასთან, ვინაიდან პირველნი მეორეს დამცველათ და ქომავათ გამოვიდნენ და ხელის შემშლელ ფაქტორებათ გადაიქცნენ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის. მაგრამ მიუხედავად ყოველგვარ დაბრკოლებებისა, მუშათა კლასმა, განსაკუთრებით კი ლენინგრადის პროლეტარიატმა მოიხმარა ის დრო, რომელიც მოთავსებულია თებერვალსა და ოქტომბერს შუა, ძალთა ორგანიზაციული დარაზმისათვის და გადაწყვეტი ბრძოლის მიცემისათვის.

ამაში უსათუოდ დიდია დამსახურება თებერვლის რევოლუციისა ოქტომბრის წინაშე. დემოკრატიული ყალთბანდობისა და ლაყბობის პროცესში, შესძლო მუშათა კლასმა დარაზმევა, შეკავშირება; და საბოლო ბრძოლისათვის მომზადება.

და როდესაც დაჭრა საათმა, ის მზათ აღმოჩნდა იმისთვის, რომ თებერვალი განეგრიო

და ოქტომბრამდის მიეყვანა. 25 ოქტომბერს თავდება თებერვალის არსებობა.

ამ დღეს აჯანყებულმა მშრომელმა მასამ დასცა თებერვლის მიერ ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებული ძალები და დაამყარა მუშათა კლასის დიქტატურა.

ჩვენთვის, ყოფილ მენშევიკებისათვის, განსაკუთრებით საყურადღებოა ის პერიოდი რუსეთის რევოლუციისაში, რომელიც თებერვლიდან ოქტომბრამდის არის მოთავსებული.

ჩვენ მაშინ პირველს ვებრძოდით. მეორეს ყურს ვუგდებდით. დღეს კი ჩვენც იქ ვართ, სადაც რევოლუციონური მუშათა კლასი იბრძვის და ამავრებს თავის პოზიციებს:

თებერვლიდან „ოქტომბრამდის გავლილი გზის გადაფალიერებით ეთრთხელ კიდევ ვრწმუნდებით იმაში, რომ მუშათა კლასის დიქტატურის გარეშე შეუძლებელი იყო ხსნა, გამარჯვება რევოლუციისა.

ეს მეორე, მაგრამ მრავალფეროვანი თავის შინაარსით გზა, ნათლად ამტკიცებს იმას, რომ სინამდვილეში მხოლოდ ორი ძალა იყო ამ რევოლუციის პროცესში მოქმედი, პროლეტარიატი და ბურჟუაზია.

ხოლო რომ პროლეტარიატი დამარცხებულიყო, რუსეთის თვალუწვდენ მიწა-წყალს ისევ შავი მონარქიაზმის დროშა დაფარავდა, ვინაიდან რევოლუციით დამონებული ბურჟუა

ზია ჩვენი მასწავლებლის თქმის არ იყოს, „ეშმაკის ბებიასაც კი ვაუწყვდიდა ხელს“ „ოლონდ თავი დაეხსნა მუშათა კლასის ბატონობისაგან.

ვ. ქორაშელი.



ფულის რაფორმის გარეგანი.

ფინანსიური საკითხი იმდენად დიდი მნიშვნელობისაა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, რომ მის მიზან-შეწონილად გადაჭრას და ფინანსების გაჯანსაღებას უარესად დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ჩვენ, საბჭოთა კავშირში მცხოვრებნი გავხდით მოწამე ფულის კურსის ჯერ არ ნახული, წარმოუდგენელი დაცემისა. ამ მხრივ საბჭოთა ფულის ნიშანს გერმანიის მარკა თუ ვაუფვებს მეტოქეობას, თორემ სხვა ქვეყანაში ამისი მსგავსი რამ არ მომხდარა.

საბჭოთა ფულის დაცემის მიზეზი მრავალია. უმთავრესია: საერთაშორისო ომის, სამოქალაქო ომის, ინტერვენციის და სხვა მრავალი არაჩვეულებრივი ხარჯების ექსპლუატაციის საშუალებით დაფარვა, წარმოება-მრეწველობის, ვაჭრობის დაცემა, შესუსტება და სხვა მრავალი.

ყველა ამ მიზეზებმა ერთად გამოიწვიეს ფულის ნიშნის საზღაპრო დაცემა.

ფულის ასეთი საშინელი ტრეპით დაცემის გამო ისეთი მდგომარეობა შეიქმნა ბოლოდროს, რომ როგორც ცეცხლს არ კიდებს არავინ ხელს, ისე არავინ აჩერებდა ფულს ხელში.

სამოქალაქო ომის პერიოდის დასრულების შემდეგ საბჭოთა ქვეყნებში დაიწყო წარმოება-მრეწველობის და ვაჭრობის აღორძინება. მაგრამ ამ აღორძინებას წინ ვადელობა ფინანსიური ცხოვრების მოუწყვრებლობა, ფულის კურსის სწრაფად დაცემა. მერყეობა და ცვალებადობა საბჭოთა ფულის ნიშნებისა ხელს უშლიდა და უშლის ყოველგვარ წარმოების წარმოშეებას. არც მწარმოებელმა (სახელმწიფო ექნებ ანეთი თუ კერძო პირი, სულერთია), არც ვაჭარმა არ იცოდა აგებდა თუ იგებდა ის. შეუძლებელი იყო დაახლოებით მიანიც ვარაუდი შემოსავალ-გასავლისა. როცა საწარმოო, ან სავაჭრო დაწესებულების არ აქვს მტკიცე ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილი, მაშინ ის ვერ იმოქმედებს ხეირიანად.

გარდა ამისა, არც ერთი მეურნეობა არ შეიძლება განვითარდეს, თუ მას საშუალება არ აქვს კრედიტით სარგებლობისა, ხოლო ფულის კურსის სწრაფი დაცემის გამო საკრედიტო დაწესებულებანიც მოიშალა.

ცხადია, ასეთ პირობებში ვერ განვითარდებოდა ვაჭრობა-მრეწველობა იმ ტრეპით, როგორც ეს საჭირო იყო რუსეთის დანგრეული მეურნეობისათვის.

განსაკუთრებით დაახნია ფულის სიმრავლემ სოფლის მცხოვრებნი—გლეხობა. გლეხი ჩაეღარა აუტანელ მდგომარეობაში. პირველ ხანებში მან აგროვებ ბონების, მაგრამ, როცა დარბნუნდა, რომ ეს ბონები ყოველდღე ჰკარგავდნენ მნიშვნელობას, მანაც დაიანება თავი ბონების დაგროვებას.

გარდა ამისა ჩვენს გლეხობას ჰქონდა ასეთი თვისება: რამე ღირებულება რომ შეეძინა, ის თვეობით და წლობით აგროვებდა გროშებს. გაყიდიდა ღორს, შეინახავდა ფულს, გაყიდიდა ქათამს—შეინახავდა... და ასე ძროხას, კვერცხს, ხარს და სხვ. ყიდა და აგროვებდა ფულს. ამის შემდეგ კი ყიდულობდა იმას, რაც მას ესაჭიროებოდა. ფინანსიურმა არეულ-დარეულმა კი მას ამის საშუალება მოუპოვა.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო მუშა-მოსამსახურენი, სანამ ხელისუფლება საქონლის მანეთით დაიწყებდა ხელფასის გასტუმრებას. თუმცა მას შემდეგაც, რაც ხელფასის დარიცხვა საქონლის მანეთის მიხედვით დაიწყო, ფულები და ხელფასი მუშა-მოსამსახურის ხელში ფულის სწრაფი დაცემის გამო.

შეუძლებელია აქ ჩამოთვლა ყველა იმ უბედურების, რომელსაც იწვევდა ფინანსიური და ეკონომიური ცხოვრების დაშლა.

მხოლოდ აქ აღვნიშნავთ მოკლეთ საბჭოთა მთავრობის მიერ გაკეთებულ ფინანსიურ რეფორმის მნიშვნელობას.

უკანასკნელ წელში წარმოება იმდენად განვითარდა, სახელმწიფოს ბიუჯეტი იმდენად მტკიცე საფუძველზე დაეყრდნო, შარშან გამოცემული ჩერვონეცის ფულის კურსი ისე განმტკიცდა, რომ შესაძლებელი გახდა ფულის რეფორმის ცხოვრებაში გატარება.

და აი შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით საბჭოთა კავშირში გამოსყიდულ უნდა იქნას დაუყრდნობელი საბჭოთა ფულის ნიშნები და ხმარებაში უნდა გამოვიდეს ვერცხლის და სპილენძის ფული. მათთან ერთად ხმარებაში იქნება სახაზინო ბილეთები 1, 3 და 5 მანეთიანები.

მოსკოვში უკვე მარტის ხელფასს ისტუმრებენ ახალი ფულით, ხოლო ჩვენში ალბად ერთი თვე დააგვიანდება ამ რეფორმის გატარებას, რადგანაც ჩვენში ფულის ტრიალი სხვა ზასიათის იყო და სხვა პირობებია ფინანსიური ცხოვრების.

ვახეთების ცნობით საბჭოთა რუსეთში ფულის რეფორმის დიდი აღტაცებით შეხვდნენ გლეხები, მუშები, ვაჭრები და ყველა, საქონლის ფასებმა საგრძნობლად დაიწია. ეს დაწევა იწყება 10% და აღის 30%-დე. ეს იმიტომ მოხდა, რომ ვაჭრები ზედმეტ ფასებში ყიდულობდნენ საქონელს, რომ საქონლის ფასი დაზღვეული ყოფილიყო ფულის დაცემისაგან. ეს ზედმეტი ხარჯები მოიხსნა.

ერთი სიტყვით, მდგომარეობა დაადგა გამოკეთების და გაუმჯობესების გზას.

ამიერიდან ვაჭრობა-მრეწველობა ნორმალურ კალაპოტში ჩაღებდა. მუშებს და მოსამსახურეებს საშუალება ეძლევათ ისე მოიხმარონ თავიანთი ხელფასი, როგორც მოესურვებათ. დღემდე კი მუშა-მოსამსახურე იძულებული იყო ეყიდა ხშირად ისეთი საქონელი, რომელიც არ ესაჭიროებოდა, მაგრამ ფულის გაფუჭებას ყველაფერი სჯობდა.

განსაკუთრებით გლეხებისათვის არის ეს რეფორმა სასიხარულო.

ამიერიდან შეუძლიათ კაპეიკები აგროვონ და რაც უნდათ ის მაშინ შეიძინონ, როცა ამას მოახერხებენ და მოესურვებათ.

გარდა ამისა სოფლის მეურნეობა უკრედიტო ვერ განვითარდება. მტკიცე ვალიუტის შემოღება საშუალებას იძლევა სოფლებში საკრედიტო დაწესებულებების ამოძრავების; გლეხს მიეცემა კრედიტი, რომელსაც ის მოახმარს მეურნეობის აწევის, აყვავების.

მაგრამ არ კმარა მარტო ფულის რეფორმა. წყეული „მაკრატელი“ თუ ისე დარჩა, როგორც არის, მაშინ გლეხურ მეურნეობას მაინც მოეღის საფრთხე და ტიტული გლეხიც ვერ შეიმოსება.

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფულის რეფორმა რამოდენიმე უსათუოდ დაუხსლოვებს ერთმანეთს „მაკრატლის“ პირებს.

საჭიროა სახელმწიფომ თავისი საეკონომიკური განგონების და კოოპერაციის საშუალებით მიიღოს ზომები, რომ სოფლის პროდუქტით და ქალაქის ნაწარმობის ფასები ერთმანეთს შეუთანბროს და მათ შორის ალაღვინოს წინეთ არსებული წონისწორება.

რომ ფულის რეფორმამ მიზანს მიაღწიოს, ამისთვის საჭიროა სახელმწიფოს ხარჯები სასტიკად განსაზღვრულ იქნას, მოისპოს უნაყოფო ზედმეტი ხარჯები. თანდათან მოისპოს ბიუჯეტში დეფიციტი და სხვა.

ერთი სიტყვით მრავალ ღონისძიებათა მიღება საჭირო, რომ ახალი ფული განმტკიცდეს და ქვეყნის ფინანსიური ცხოვრება წაიღეს წინ ალორძინების გზით.

ჩვენ ვთქვით, რომ ამ ღონისძიებებს საბჭოთა მთავრობა უკვე იღებს და ახლო მომავალში ჩვენ გვექნება მტკიცე ფულიანი სახელმწიფო. ამას კი უარესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ტყუილად კი არ უთქვამს ერთ პუბლიცისტს, რომ გერმანიის მთავრობის ფასი განსაზღვრება მარკის კურსით, ასევე ყოველი მთავრობის ფასი. და, რასაკვირველია, ეკონომიურად განმტკიცებული სახელმწიფო პოლიტიკურადც განმტკიცებულია. ეს არის მარკსიზმის ანაბანა. და ჩვენ პრაქტიკაში ვხედავთ ამ ანაბანას სიმართლეს, განაღვლებს.

ფანანსისტი.



გაქაუპარა სხიველები

ბევრ პროვინციელ მუშას ეგონა, რომ სხიველები მემარცხენე ფრთა არის ს. დ. მ. პ. საქართველოში უკმაყოფილო მუშები ხმა მაღლა ამბობდნენ, რომ მენშევიზმი დაადგა ბურჟუაზიის გზას და მუშათა ინტერესები სრულებით დაივიწყაო. ამ შთაბეჭდილების შემდეგ სხიველები, უფრო მემარჯვენეები, ვიდრე „მენშევიკები“, გამოდიოდნენ მუშების კრებებზე და მთავრობას და პარტიას უკვირებდნენ, რომ ის გადაუდგა მუშებს და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი მუშათა კანონმდებლობა არ დააკანონაო. ამით ისინი მხოლოდ ატყუებდნენ მუშებს, როცა საქმე კანონების გამოცემაზე მიდგებოდა, ისინი თბილისში ამის წინააღმდეგნი იყვნენ. მათი დავა დაიწყო თბილისი ადგილების განაწილების და კარგი თათხების მითვისების გარეშით. იმ დროს, როცა მუშებს სული გვხდებოდა ნესტიან სარდაფებში, ეს ვაჭბატონები ერთი-მეორეს თავპირს ამტყ-

რეგლენ კარგი ოთახების განაწილებაზე. ეს კი საბაზი შეიქმნა მათი გათიშვის. ეს გაბოროტებული ინტელიგენტები, — უჯარო გენერლები პროვინციაში ერთს ლაპარაკობდნენ და ქალაქში შგორეს, მუშებმა გაუგეს ეს ყალბაბანდობა და მათაც ისე მოექცენ, როგორც მენშევიკებს. დღეს სხიველების ჯგუფში დარჩენილია მხოლოდ ხუთიოდე რუსთაველის ქუჩაზე მოხეტიალე ინტელიგენტი. მუშები და ყველა პატიოსანი რევოლუციონერები დიდი ხანია დაადგენ 25 აგვისტოში ყოფილ მენშევიკების ყრილობის გზას და გაერთიანდნენ მე-III-მე კომინტერნში, მაგალითათ ქიათურაში მუშები ასე ამბობდნენ: სადაური დ. ს. დ. მ. პ. როცა ფორმალურათ არ ჩამოყალიბებულა სხიველების ჯგუფის პარტიაო?

ჩვენ თუ მხარს უჭერდით სხიველებს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ გვეუბნებოდნენ მენშევიკები არაფერს აკეთებენ მუშებისათვის და საჭიროა მუჯღუღუნნი ვკრათ-ფიქრონ რამე მუშებზეო. შორაბნის და ყვირილის მუშები, რომელიც დასაყრდნობი საფუძველი იყო სხიველების, 27 თებერვალს საუკუნით გამოეთხოვენ, როგორც ჯგუფს. ხაშურის და თბილისის მუშებმა უფრო ადრე შეიგნეს მათი ტყუილები და ადრე ჩამოშორდნენ მათ. დღეს ეს მოხეტიალე ინტელიგენტები მაინც ფიქრობენ, რომ ვითომ ისინიც პარტია არის, მაგრამ, როცა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედავენ დანახავენ, რა თანამგრობნი არაფერს აღარ გაანიათ, ეს რომ ასეა, ამას მათი კონფერენციაც ამტკიცებს, რომელსაც თბილისელი 7 მოხეტიალე ინტელიგენტები წარმოადგენდა. დეე, იფიქრონ, იდოკინოტონ, მაგრამ იცოდნენ, რომ ქარის წისქვილები დანგრეულია, იმედების წყაროც დამშრალია.

ჩვენ გვწამს ის, რომ ყველა პატიოსანი მუშა მათ თვალში მიაფურთხებეს, თუ ისინი მუშებში გამოჩნდებიან იმ სამარცხვინო მოქმედებისათვის, რასაც ისინი ჩაიღან დღეს პარტიულ კომიტეტში, მენშევიკებთან და ყველა ხულიგან კონტრევოლუციონერებთან ერთად. საქართველოს 18 ათასმა მუშამ და გლეხმა წყევლა და კრულვით ჩაასვენა მენშევიკების ბანდიტური პარტია. სამარეში 25 აგვისტოს მათთან ერთად ეს ჯგუფიც „სხიველების“, როგორც მისი პირში შეილი, ჩაესვენა შავ სამარეში.

საუკუნით იყოს ხსენება მათი. ჩვენ, მუშები, არასოდეს მათ აწი არ მოვიგონებთ.

„ისარი“



### ჩვენ გართლავი გემოვდავიით.

25 აგვისტოს ჩვენი მიერ აღებული გზა სწორია, ეს იქიდან სხანს, რომ ჩვენ დღითიდღე გვემატება ამხანაგები ასობით და ათასობით, ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ჩვენი თვალთ ვხედავთ ყველა იმას, რაც ჩვენ წინეთ არ გვეგროდა, ჩვენ კომუნისტები ბევრ ბრალდებებს გვიყენებდნენ თურმე სრულიად სამართლიანს. ამან ჩვენ გვაიძულა გადაგვესინჯა ჩვენი ტაქტიკა. ჩვენ ასეც მოვიქცით. უარყვავით ძველი გზა და დადგექით კომინტერნის გზაზე. განა ჩვენ შეგვეძლო თვალები

## ს ი ტ ყ ვ ა

ის დადიოდა განწირული მუდამ მწუხარე — აჩრდილო ჩემო! ნუ ხმაურობ შავი სამოსით. იყო სიკვდილი. ღამეს თავი არ დაუხარე — ალბად იქნება ხვალ გაკრული ჩემზე ანონსი.

აგი თვალები მაშინებენ — მზეო, სადა ხარ! დარჩა დღემილი დაწყველილი როგორც ირაო. ღამაში ღიმილს მე ნაღველში გაეცვლი ნანდახან — ალბად იქნება იქ ლაპარაკი: უნდა იარო.

სულო! იარე დაღვრემილი, როგორც ავღარი. სიწუმე, შენი იქნებოდა დიდი ღალატი. ბრძოლაა შენი სიმბოლო და შენი ნადავლი — ალბად იქნება მოწერილი შავი ბარათი.

მაშ, წინ! ძიება იქით გიხმობს, იქით გაქვს გზები. შენი სიციცხლე საჭიროა იცოდე მუდამ. იქ დაიბნევა საცოდავი უშნო აზრები — ალბად იქნება გაოცება და ასეც უნდა.

ის დადიოდა განწირული მუდამ მწუხარე — აჩრდილო ჩემო! ნუ ხმაურობ შავი სამოსით. იყო სიკვდილი. ღამეს არ დაუხარე — ალბად იქნება ხვალ გაკრული ჩემზე ანონსი.

ჭაგნელი ბზიკი.

დაგვეხუჭა, როცა ჩვენი თვალთ ვხედავდით, რომ კომუნისტები მუშების საქმეს აკეთებენ და არა ბურჟუაზიასს. აბა, როგორ შეუძლია პატიოსან მუშა რევოლუციონერს არ დააფასოს ყველაფერი ის, რაც ჩვენ მოგვცა კომუნისტებმა. ავიღოთ, თუ რა გააკეთა ჩვენში კომუნისტებმა: მუშებს მისცეს კარგი სახლები. მუშები არიან დაზღვეულნი. სარგებლობენ იაფ-ფასიანი წყლით, მუშებისთვის მოაწყვეს მთლიანი მუშათა კომპარტივი, სადაც იაფად ყიდულობენ ყველაფერს. მუშებს აქვს ძლიერი პროფკავშირები, რომლის საშუალებით მუშების ინტერესები საეხსებით დაცულია, საბჭოთა ხელისუფლება ეს ერთად ერთი მთავრობაა, რომელიც მუშათა კლასისთვის ფიქრობს. საბჭოთა ხელისუფლებამ ბევრი რამ გააკეთა, გაიყვანა ოზურგეთის რკინის გზა. ააშენა ხიდები, გახსნა სკოლები, როგორც ახალგაზრდებისთვის, ისე მოზრდილთათვის, გაიყვანა ტრამვაის ხაზი ფუნჯიკულიორამდი ტ. სასაკლავოში, გააუფიქრებეს წყალსადენი, ელექტრონის საღურები, თითქმის ნახევრად აშენებულია ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგური. გააკეთა სოფლებში. ხიდები, გაუსხნა გლეხებს სკოლები და სამკითხველოები, დაურიგა გლეხებს მიწები. გახსნა მუშათა კლუბები, დაგვიარსა პოლიტიკური კურსები, გაგვიხსნა მუშათა ფაქულტეტები, სადაც ჩვენი მუშები დაკოყრებული ხელებით სწავლობენ წერა-კითხვას, მოგვიწყო დასასვენებელი სახლები იქ, სადაც წინად ბურჟუები განცხრომაში ატარებდნენ დროს, დღეს ჩვენი დასასვენებელი სახლებია. საბჭოთა ხელისუფლებამ საქმით გვაჩვენა ყველა ეს და ჩვენც ასეთი ხელისუფლების საწინააღმდეგო არაფერი გვქონდა. ჩვენ დადგეთ კომუნისტების გზაზე და არ გადაუხვევთ ამ გზიდან, რაც უნდა მოხდეს. თუ სეით დევდარიანს ჰგონია, რომ ჩვენ რამეში ვცდებით, დაგვიმტკიცოს. რომ ვითომ ჩვენ

ნი მე-III კომინტერნის გზაზე დადგომა შეცდომა იყოს, ეს თვით მან გააბათილა, ეწინააღმდეგე მან სთქვა, რომ კომუნისტების ერთადერთი ძალაა, რომელიც ამოძრავებს მუშათა კლასსო. ამის შემდეგ ამ საკითხშიაც პართლები ვართ, რაც შეეხება შუა გზას, სეითი არაფერს ამბობს. ეს გზა განუხლებული 2 ნახ. ინტერნაციონალის გზა არის, რომელიც ცხოვრებამ დაპყვო, ასევე მოუღვა სეითს თუ ამ გზას დაადგა. დღეს მსოფლიო ორ ბანაკათ არის გაყოფილი და სეითმა ან წინ უნდა გადადგას ნაბიჯი და ან უქან. ქანაობა დღეს არ შეიძლება. ამის დრო წავიდა.

კ. თოფაძე.



### ინგლისის მუშათა პისაკრობის მოგავალი.

საერთაშორისო მუშათა კლასი დიდი ყურადღებით და სიმპატიით აღევნებდა თვალ-ყურს რუსეთის რევოლუციას. ჩვენ ყოველთვის გვწამდა, რომ თუ რუსეთის ოქტომბერმა საერთაშორისო პროლეტარიატს ახლო მომავალში არ მისცა სოციალისტური რევოლუცია მაინც დიდი გამარჯვებას მისცემს და ვამაჯვრებს მას კაპიტალიზმ ბრძოლაში, და ამ გამარჯვების უარს ვერ-ყოფს ვერცერთი სოციალისტური პარტია. თუ ეს ჭაქტია ინგლისის სინამდვილეში, მხოლოდ ოქტომბრის მეფეებით და არა იმიტომ, რომ მეორე ინტერნაციონალი გაძლიერდა, პირიქით, ჩვენ აუარებელი მაგალითებიდან ვიცით, რომ ის დასუსტდა და მიძინებას მიეცა. სტატისტიკური დიაგრამა ცოცხალი მოწმეა მესამე ინტერნაციონალის გაძლიერების და მეორესი პასიურ მოქმედებისა. არ შევცვებით გერმანიას, სადაც მეორე ინტერნაციონალმა ხელი შეუწყო ფაშიზმს მუშათა კლასი-

სთვის ამოვლელი ალვირი, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მესამე ინტერნაციონალი გამოუჩნდა იქ მუშათა კლასის ნამდვილ პატრონათ და მან გაამაგრა ის. ჩვენ მოწმენი ვიცნებთ გერმანიაში ძლიერი მუშათა მოძრაობის; ხოლო ჩვენ მოწმენი ვართ ამ უამად ინგლისის მუშათა მთავრობისა და ვნახოთ თუ რა გზას ადგია ეს მთავრობა და ვისი ინტერესებს იცავს ის უფრო? ჯერჯერობით მაკლონალდის მთავრობა ახალია და ადგილიდან ვერ იმძრევა მუშათა კლასის ბედნიერებისთვის, მაგრამ ამაში ის არ არის დამნაშავე; ეს ჩვეულებრივი სენია მეორე ინტერნაციონალისა. საინტერესოა, რომ ლოკალურების მომწყოში პარტიებიც მხარს უჭერენ მაკლონალდის მთავრობას. თუ ლოიდ ჯორჯი და მისი წრე მოახრევა ამ მთავრობისა, ეს მანმის, სანამ მთავრობის მოქმედება არ ეწინააღმდეგება ამ წრის პრინციპებს და ემსახურება მას, თუ ბალდვინი არ აწარმოებს ძლიერ ოპოზიციის იმტომ, რომ მაკლონალდის მთავრობა აგრძელებს ყოფილი მთავრობის პოლიტიკას და მოქმედებს. ისმება საკითხი: მაშ რა შემოიქმანა ახალი არსებულმა მთავრობამ? ახალი ეს არის საბჭოთა კავშირის იურიდიულათ ცნობა და ისიც არა იმტომ, რომ ამას მოითხოვდა მარტო საბჭოთა კავშირის ინტერესები, არამედ მას მოითხოვს კერძოდ ინგლისის და საერთოდ ევროპის ეკონომიკური მდგომარეობა. რუსეთის უნდელმასალოთ მთელ ევროპაში გაძლიერდა უმუშევრობა. გარდა ამისა თვით მუშათა კლასი მოითხოვდა პროლეტარულ მთავრობის ცნობას და ამიტომ არის დღეს სხვა ენით ლაპარაკობს მეორე ინტერნაციონალი ჩვენ გვახსოვს რა კილოზე მდგომარეობენ ისინი იმავე გერმანიაში, როდესაც საკითხი იდგა ფრონტის გაერთიანების შესახებ და რატომ დაიშალა კომისია ცხრისა. არც იმდენათ შორს წარსულს ევთენის ვენუას და ლოხანის კონფერენციები, სადაც უნდა ეცნოთ საბჭოთა რესპუბლიკა. ისიც გვახსოვს თუ რა პოზიცია დაიჭირა აქ მეორე ინტერნაციონალი. თუ დღეს მაკლონალდი პარლამენტში ქარაგმებით აკეთებს მოხსენებას და მისი ფიზიონომია არ არის კონკრეტული, მომავალში ის იძულებული იქნება გულახდილათ აღიაროს თუ რა გზას ადგია. არსებულ მდგომარეობას ვერ ბურჟუაზია და ვერც მუშები ვერ მოითმენენ და თუ ამ აღსარების დროს მთავრობა გადაიხარა მარჯვენა მუშებში დააყენებენ საკითხს უფრო კატეგორიულათ, და თუ ბურჟუაზია შეინშნა მთავრობის შემარცხენობა—ის მას მხარს არ დაუჭერს და ამით ლოიდინითი მდგომარეობა დაირღვევა და გაიზღდება ნამდვილი კლასიკური ბრძოლა. თუ ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში ძნელი სათქმელია, მხოლოდ ერთი აშკარაა, რომ უფლება მუშათა კლასის ხელშია და ის შეეცდება ხელიდან ეს უფლება არ გაუშვას. ამ ბრძოლაში მაკლონალდი იძულებული იქნება მუშათა მოძრაობას დაუჭიროს მხარი და არსებულმა კოალიცია შეესკვალოს ნამდვილი მუშა სოციალისტური მთავრობათ. სანამდის ინგლისში არსებობს ლორდების პალატა, მეფე ბურჟუაზიული არჩევნებითი წესები, მანამდის იქ მუშათათვის ძალიანი ცრტა გაკეთდება და მთავრობის დადგენილებანი ამ

დარგვე ქაღალდზე დარჩება და ბურჟუაზია მის ცხოვრებაში გატარებას ლოკალურებით უპასუხებს. მენშევიკური მთავრობამ მიიღო თავის თავზე მომრიგებლის მოვალეობა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ვერ ილაშქრებს და ამიტომაც არის, რომ ბურჟუაზია მას მხარს უჭერს. ამ რიგად ის, ბურჟუაზია და პროლეტარიატის შორის ადგია საშუალო ხაზს, და თან და თანობით ჰაერში ჩამოეკიდება—სანამდის ასეთი მდგომარეობა იქნებოდეს, ინგლისის პროლეტარიატი ძალას მოიკრეფს და დაიჭერს წინა პოზიციებს, ამ საქმეში აქტიური მონაწილეობას მიიღებს კოლონიაში მცხოვრები დამაგრული ერებიც და გაერთიანებული მთლიანი ძალა შეეცდება უფლებების ხელში აღებას ნამდვილ კლასიურ პროლეტარულ ნიადაგზე და მაშინ ორ სკამზე მჯდომ მთავრობას გამოეცლება ნიადაგი და მოედება ბოლოც. პროლეტარულ—რევოლუციონურ ისტორიის ლოლიკა მტკიცეა და ამ ლოლიკის პირველი საფეხური არის ინგლისის სინამდვილე და ისე, როგორც რუსეთში, ის მონახავს თავის გზას, მხოლოდ ტემში და ტაქტიკაზე არის საქმე და ამასაც ინგლისის პროლეტარიატი იპოვის III-მე ინტერნაციონალში, რომლის ავტორიტეტი და სიძლიერე მთელ ევროპაზე ვრცელდება. ჩვენ უსურვებთ ინგლისის პროლეტარიატს და დამაგრულ ერებს ამ საქმეში გამარჯვებას.

ვლად. გაბილიაია.



### ს. შარნიავი ქ. ბათუმში

ბათუმის ყოფილ მენშევიკთა დროებით საინციტივიო ბიურო ათავებდა თავის მუშაობას, როცა ბათუმში ჩამოვიდა ჩვენი თხოვნით ამხ. ა. ფარნიევი. სულ მოკლე ხნის განმავლობაში ბიურომ მოაწყო რამდენიმე მოხსენება აგვისტოს მნიშვნელობის გარშემო. აიყვანა აღრიცხვაზე ყველა ქემარტი მარქსისტი, რომელმაც უარყო მენშევიზმის ოპორტიუნისტული გზა და დადგა ყრილობის პლატფორმაზე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა დემონსტრაციებში, გაიბა მტკიცე კავშირი ჩვენს ამხანაგებსა და პარტკომს შორის და სხვა.

ამ მუშაობის შემდეგ დროებითი საინციტივიო ბიურო უნდა დაშლილიყო, მაგრამ მანამდე ბიუროს უნდოდა ერთი კრების მოწვევა ამხ. სანდრო ფარნიევის დასწრებით.

27 თებერვალს კომუნალურ მუშურნობის დიდ დარბაზში მოხდა ყოფილ მენშევიკთა საერთო კრება. ყველა ჩვენგანის გული სიხარულით აღივსო, როცა გადავხედეთ ძველ მუშებს და დავინახეთ შემდეგი სურათი; კრებას დაესწრო თითქმის ყველა დაკოვილ ხელებიანი მუშები, ძალიან ცრტა იყო ინტელიგენცია. საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ქ. გოგიბერიძემ, ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ფარნიევმა მომენტზე და აგვისტოს მნიშვნელობაზე; მოხსენებას მოჰყვა მრავალი შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

ჩვენ გვეგონა, რომ ავანტიურისტების ბათუმის განყოფილება სერიოზულ მუშაობას აწარ-

მოებდა, მაგრამ როცა მათ უნდადგო შეკითხვებს გავეცანით, გვეწმინა. ნუ თუ მეტი ძალა და შეგნება აღარ შესწევს იმ პარტიას, რომლის წევრებთ ჩვენ ვითვლებოდით?

ერთ შეკითხვაში წერია: „გოგიანიათ თუ არა თქვენ ნოე ეორდანი კარგირისტათ“.

ამაზე მეტი შეკითხვა აღარ მოვპოვებთ! სირცხვილით ჯარის შესახებ აღარაფერს სწერენ!

ამხ. სანდრომ შეკითხვებზე სათანადო პასუხი გასცა და სთხოვა თუ ვინმე იყო დამსწრეთა შორის შეკითხვების ავტორთა მომხრე გამოსულიყო და ელაპარაკა.

ამის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს: ვიქ. ქედამ, გ. ამილობელი; დიასამიქემ, მის. ჯიბლაქემ, კალ. გოგიბერიძემ, ვას. ქავყარაძემ და სხვებმა, რომელნიც ერთხმად აღიარებდენ აგვისტოს დიად მნიშვნელობას.

და ბოლოს წაკითხულ იქნა სია ყოფილი სოც.-დემოკ. პარტიის და ახალგაზრდათა მარქსისტების ორგანიზაციის იმ წევრებისა, რომლებიც მტკიცეთ დადგენ აგვისტოს ყრილობის პლატფორმაზე:

ყოფილ მენშევიკების სია:

1. ჯიბლაქე მიხეილ დავითის ძე 1898 წ.
2. გოგიბერიძე ალ. კონსტან.-ს ძე 1901 „
3. შარაშიძე ილია ამბაკოს ძე 1901 „
4. ვაშაიძე ბესარიონ კოსტას ძე 1902 „
5. ქოსაშვილი სამსონ ალექსის ძე 1902 „
6. კვაჭანტირაძე ის. გაბრიელის ძე 1902 „
7. აღეშვილი იპოლიტე კუზმას ძე 1903 „
8. გურგენბეგოვი ლუკა 1903 „
9. ჩახაია ლუკა 1904 „
10. გოგიბერიძე სვენი გიორგის ძე 1904 „
11. ქინქლაძე ალექსი გრიგოლის ძე 1904 „
12. ჩავლიშვილი ლუკა იაკობის ძე 1904 „
13. ქედია ვიქტორ იაკობის ძე 1904 „
14. ხავთასი დავით კონსტან. ძე 1905 „
15. მეგრელიძე მის. ვილაქიას ძე 1905 „
16. ლორია ლუკა გიორგის ძე 1905 „
17. მეგრელიძე ქიშვარდ როსტ. ძე 1905 „
18. ორაგველიძე ვარლ. მაქსიმეს ძე 1905 „
19. სიხარულიძე ილარ. სიმონ. ძე 1905 „
20. ფიფია ქრისტეფორე ივანეს ძე 1905 „
21. სიხარულიძე მელ. მიხეილის ძე 1905 „
22. ჩარკვიანი ნოე ბესარიონის ძე 1905 „
23. აღეშვილი დავით ილიკოს ძე 1906 „
24. უფრედი ვლადიმერ გიკოს ძე 1907 „
25. ფარეშვილი ბიქტორ მელიტ.ძე 1908 „
26. ფოცხიშვილი ვად. ზურაბის ძე 1909 „
27. ჭყონია კონსტ. ელიშუხურის ძე 1909 „
28. გომართელი შალვა დიმიტ. ძე 1910 „
29. სირაძე სამსონ ეფრემის ძე 1911 „
30. ბაუჯოვი რაფიელ იაკობის ძე 1912 „
31. ტულეში ტერენტი 1914 „
32. შავანაძე დომენტი ივანეს ძე 1914 „
33. ამილობელი გიორგი ეგნ. ძე 1914 „
34. ჯაში დავით კონსტანტინეს ძე 1914 „
35. ჩხაიძე კონსტანტინე ნიკოს ძე 1915 „
36. ჭეიშვილი ივანე გერასიმეს ძე 1915 „
37. გეორგიძე ივანე ფილიპეს ძე 1916 „
38. გეგუქორი პოლიკარპე ლევ. ძე 1917 „
39. გოგიბერიძე დავით კოსტას ძე 1917 „
40. ნინიძე ვლად. ყარაპანის ძე 1917 „
41. ფორცხაშვილი ნიკო ივანეს ძე 1917 „

- 42. გოგუაძე ელასა იესეს ძე 1917 წ.
- 43. ლომაძე ვარლამ ანტონის ძე 1917 „
- 44. ფრანგიშვილი აკაკი ბ. ძე 1917 „
- 45. თავართქილაძე შლვა სამ. ძე 1917 „
- 46. რუსთაშვილი სიმონ ბეგ. ძე 1917 „
- 47. ახვლედიანი ალექსანდრე დ. ძე 1917 „
- 48. მითაიშვილი მიხ. ნიკოს ძე 1917 „
- 49. ჯაში მამია ირადიონის ძე 1917 „
- 50. ქაიხაძე ლევან ალექსანდრეს ძე 1917 „
- 51. ლეკავა ნიკოლოზ პეტრეს ძე 1917 „
- 52. ვაჩიშვილი იასონა 1917 „
- 53. ჯაში ილია პავლეს ძე 1917 „
- 54. წეროძე ვლად. ხალაპერს ძე 1918 „
- 55. თიროშვილი ალექსანდრე მ. ძე 1918 „
- 56. გერაძე ილია სერგოს ძე 1918 „
- 57. გულიანკინი ალექსანდრე 1918 „
- 58. კალანდძე პაველ დიმიტრ. ძე 1918 „
- 59. მგვრელიძე ზაქარია როს. ძე 1918 „
- 60. მასხუღია ევტიხი იესეს ძე 1918 „
- 61. გიორგაძე ბენია ვასილის ძე 1918 „
- 62. ლომთათიძე სანდრო დომ. ძე 1918 „
- 63. გოგიანიშვილი სილიბისტრო 1919 „
- 64. ქავთარაძე პლატონ ივანეს ძე 1919 „
- 65. ჩემია არტემ 1919 „
- 66. შენგელია ალექსანდრე ან. ძე 1920 „
- 67. ზამბაროვი ბორის იოსების ძე 1920 „
- 68. შალამბერიძე მიხ. გერასიმეს ძე 1920 „

- 38. კალანდძე ილია იოსების ძე 1920 წ.
- 39. ჭყონია მიხეილ ივანეს ძე 1920 „
- 40. გოგოლაძე ალექსანდრე კაბ. ძე 1920 „
- 41. მესხიშვილი ტერენტი დან. ძე 1920 „
- 42. ჭინჭარაძე პარმენ ივანეს ძე 1920 „
- 43. ლომჯარია ნიკოლოზ თომას ძე 1920 „
- 44. შარაშიძე ალექსანდრე თ. ძე 1920 „
- 45. დღუღაია შოთა ფარნ. ძე 1921 „
- 46. წულაძე გრიგოლ ბესარ. ძე 1921 „
- 47. დვალისხვილი ნიკოლოზ გ. ძე 1921 „
- 48. ჭაჯავია გიორგი დიმიტრის ძე 1921 „
- 49. პაჭკორია მიხეილ ლევანის ძე 1921 „
- 50. გოგობერიძე კალენიკე სიმ. ძე 1917 „

ბათუმის პარტიკომთან დაარსდა კომისია სადაც შედიან: ამბლობელი გიორგი, გომართელი შალვა და დისანაძე. კრება დასრულდა დამის II საათზე და ამანაგები აღფრთოვანებული სიხარულით დაიშალენ. ახ. ფირნივეი გაიწვიეს სამტრედიის მუშებმა იქაც მოხსენების გასაკეთებლად. ყოფილი პარტიის წევრები დღითი დღე სწყვეტენ ყოველგვარ კავშირს არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ თითო ოროლა უპასუხისმგებლო მენშევიკებთან და მოდიან ჩვენ რიგებში.

გომართელი.

# მუშათა წიკრილები

## კლხნათ მუშაგ.

სიტყვა მისი მეხი იყო ტრამუნდან, როს რვეინავდა და ჩვენს მტერსა მისი შიშით დღე და ღამე არ სძინავდა. —

სიტყვა ცეცხლათ იქცეოდა მთელს სოფლიოს ედებოდა მით მუშა, ჭირში ნაყოფი ბრძოლისთვის ემზადებოდა.

მისი სიტყვა მკვეთრი იყო და სხეებისას არა გავდა, მომავლისა გამარჯვების გულში იმედს ვვისახავდა.

რასაც სწერენ დღეს ლენინზე, ეს ხომ ყველამ გაიგონეთ ეხლა ყველა მუშასა ვთხოვ ერთი რამე გამოგონეთ.

თუ რომ გვინდა დავამყაროთ ქვეყანაზე კომუნისმი, ყველამ უნდა შევითვისოთ და ვისწავლოთ ლენინიზმი.

მართალია თვით ლენინი მოკვდა, სული განუტევა, მაგრამ გზა წინსვლელობის გარკვეული დაგვიტევა.

ა. თოფაძე.

## შვიდი წლის თავზე.

12 მარტს ჩვენი ქვეყნის მთელი საბჭოთა ფედერაციის მშრომელი ხალხი იგონებს და დღესასწაულობს თებერვლის რევოლუციის შვიდი წლის თავს. 1917 წ. 27 თებერვალს (12 მარტს) დაემხო ძლიერი და მანამდე შეურყეველი სისხლიანი ტახტი ცარიზმისა, რომლის სიმკაცრითა და საშინელი წამებით სულსა დაფავდა მთელი მუშათა კლასი, მაგრამ მაინც რევოლუციონური ალტყინებით ემზადებოდა თვითმყობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. იწყებდა საერთაშორისო იმპერიალისტური ომი. ამ ომებს ხელს უწყობს ევრდწოდებული მემარჯვენი ფრთა მენშევიკებისა, ლეზულობს მონაწილეობას სამრეწველო კომიტეტებში და სხვა სახმედრო ორგანიზაციებში, მოუწოდებდნენ მუშებს სასაკლაოზე. ამით ისინი უთხობდნენ მუშებს სამარცს. მაგრამ მეორე

ფრთა უფრო რევოლუციონური მუშაობს არალეგალურ ორგანიზაციებში, რაზმავს თვითმყობელობის წინააღმდეგ. ოთხი წლის განმავლობაში სისხლის ლერის შემდეგ მუშებმა ვერ მოითმინეს და გამოვიდნენ ქუჩებში, მათ მიემხრო შინელში გახვეული გლეხებიც და თვითმყობელობა დაემხო. მაგრამ ძალაუფლება ჩაივდო ბურჟუაზიამ და ზოგიერთ მენშევიკ-ესერებმა. ისინი რაზმავდნენ ჯარს, მოწოდებდნენ მას გაათქეცებული ბრძოლისათვის, მაგრამ ბრძოლით მოქანცულმა ჯარმა და მუშებმა გაიგნეს, რომ ისინი იმით მესაიდუმლენ არ იყვენ და ჩაივდეს ძალა უფლება მუშებმა — წმიდა პროლეტარულმა რაზმმა. და მოხდა ოქტომბრის გადატრიალება. თებერვალი დაკავშირებულია ოქტომბერთან. ოქტომბერი მოედო მთელ რუსეთის საზღვრებსა. საქართველომ თუმცა გვიან, მაგრამ მაინც იცნო ოქტომბერი და ახლა მაინც ფრიალებს წითელი დროშა. თებერვალი — ეს წინამორბედია ოქტომბრის.

მუშა ნაზია.

## კველი და ახალი

საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავზე, 25 თებერვალს მე ვისარგებლე ორ უქმე დლით და გავემგზაურე ბორჩალოს მახრავში მდებარე დაშნაკ-მენშევიკების დროს „ნეიტრალურ ზონად“ წოდებულ ხაზისაკენ. იწყება ეს ადგილი სადგურ სადახლოდან და თავდება სადგურ სანაინ-ქოლაჯირანთან. და აი ამ სივრცეზე მცხოვრებ მოსახლეობა უკიდურეს ტანჯვა-გაჭირვებას განიცდიდა მაშინ ორივე მხრიდან მომართულ ნაციონალურ შუღლით შედებული ეს ტანჯვა-ვაება გამწვავდა უკიდურეს ზომამდისინ და ბოლოს დასრულდა სომეხ-ქართველთა შორის ამტყდარ უზუნურ ომიანობით...

რა მოხდა მას მერე. ეს ჩვენ უკვე ვიცით. ვიტყვი მოკლედ მხოლოდ იმას, რომ „ნეიტრალურ ზონად“ წოდებული ეს ადგილი, რომელიც ორვეც მხრიდან უმოწყალოდ იჩაგრებოდა და ივეც უფლიდა თავის საზიარო საქმეებს, დღეს სასამოვნო სურათს წარმოადგენს როგორც სამეურნეო, აგრეთვე კულ-

- ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტების სია:
- 1. სიხარულიძე ავთანდილ ნიკ. ძე 1917 წ.
  - 2. მგვლაძე დიმიტრი ვლად. ძე 1917 „
  - 3. ჭიქეიშვილი ვალერიან იოს. ძე 1917 „
  - 4. დისანაძე დავით სიმონის ძე 1917 „
  - 5. ფირცხალავა შალვა თედოს ძე 1917 „
  - 6. დლიძე ვალენტინ მელ. ძე 1917 „
  - 7. ჭყონია თამარ მასქს. ასული 1917 „
  - 8. შარაშიძე გრიგოლ ბეს. ძე 1917 „
  - 9. ჩიკაშვილი შალვა თედოს ძე 1917 „
  - 10. ქუროძე ამროსი პორფილეს ძე 1917 „
  - 11. მაქაყარი ვიქტორ სტეფ. ძე 1917 „
  - 12. თახაძე ალექსანდრე დლუტ. ძე 1917 „
  - 13. ბერაია ვასილი ალექსან. ძე 1917 „
  - 14. გოგიტიძე ვალიკო თეოდ. ძე 1917 „
  - 15. მუსხერიძე პიმენ ვასილის ძე 1917 „
  - 16. ასათიანი ნიკოლოზ კაპიტ. ძე 1917 „
  - 17. ხომერიკი ივანე ირაკლის ძე 1917 „
  - 18. გლოგრელი მსოე რაე. ძე 1917 „
  - 19. კუჭუხიძე იპოლიტე ვასილის ძე 1917 „
  - 20. გულუა მიხეილ ეგნატეს ძე 1918 „
  - 21. ხუციშვილი გრიგოლი 1918 „
  - 22. ვაჩიშვილი შოჟა პავლეს ძე 1918 „
  - 23. მიქაძე სოკრათი კოსტას ძე 1918 „
  - 24. ნაცრიშვილი შალვა გიორ. ძე 1918 „
  - 25. თავდიშვილი კაპიტონ მიხ. ძე 1918 „
  - 26. მანჯგალაძე ჟენია ყარ. ასული 1918 „
  - 27. დარასელია ვანო ალექსის ძე 1918 „
  - 28. ოსუფაშვილი ალექსანდრე 1918 „
  - 29. აღანია ილია ყარამანის ძე 1918 „
  - 30. ჯღარკავა პალატიმ გერასიმ. ძე 1918 „
  - 31. ყვერიშვილი შოთა აბრაიმის ძე 1918 „
  - 32. ნინიძე ანატოლი ყარამანის ძე 1918 „
  - 33. მეფავია სერგო მოსეს ძე 1919 „
  - 34. მირანაშვილი დავით ლევ. 1919 „
  - 35. გველესიანი პაველ მელიტ. ძე 1919 „
  - 36. ხუბუნი გიორგი ელიზბარის ძე 1919 „
  - 37. ჟორჯიკაშვილი ილია ექვთ. ძე 1920 „

ტრულ საქმიანობის მხრივ. აი სოფელი და სადგური სადახლო. ეს ძველად დამწვარი, დანგრეული ადგილი აღმშენებულა ბევრად და შესდგომია კიდევ აღმშენებლობითი მუშაობას. აგერ ლიანდაგზე მომუშავე მუშები ჯგუფად აღმოჩნდნენ. ნიჩაბ-წერაქვებით შეიარაღებულნი ბრუნდებიან თავთავიანთ ყაზარმებისაკენ. ჰყავთ ექიმი, არსებობს სვლამოს სკოლა და კოლოპიატივიც. სადახლოს მერე სადგური იორუმი, ახტალა. მერე ალავერდი. ახტალა ეს ის სადგურია, სადაც მეფობდა ჯერ თავადი ბარათაშვილი, მერე კი „ცნობილი“ არამიანი, რომელიც მარჯვენა ხელით თბილისში აშენებდა საავითმყოფოს და გინაზისას, მარცხენა ხელით კი სცარცვავდა თავის „საკუთარ“ მიწა-მამულზე მცხარებ მშრომელ გლეხებს და მუშებს...

სადგური ალავერდი, სოფელ სანაინთან. აქ არის სპილენძის ქარხანა, რომელიც დროებით შეჩერებულ იყო, დიდად დაზიანდა სომეხ-ქართველთა ომიანობის ხანაში, ესლა ამოძრავებულია და თანდათანობით ფართოვდება მუშაობა. სადგური ალავერდი ითვლება ვასალებით გარშემო არსებულ აუარებელ სოფლებისათვის. თუ წინათ, დაშნა-მენშევიტურ აქ არსებულ „ნეტრალურ ზონის მმართველ ბიუროს მოქმედების“ წყალობით აქედან გარშემო ვრცელდებოდა შუღლი და მტრობა, დღეს გამომდინარეობს მშვიდობიანობა, აღმშენებლობა, კულტურა და სოლიდარობა.

კვირა დილა. აგერ სანაინის ძველის ძველად არსებულ ქვის ხიდის ახლოს მოგროვილან სოფლებიდან ჩამოსულ წარმომადგენლები და მხიარულად ბაასობენ. მიუხალოვდი. დაეკითხე რაში იყო საქმე.

ახლო მდებარე სომხურ სოფელში გამოუყვანიათ წყალი, დაუკეტნიათ სოფლის ორივე ეკლესიები და გადაუქციეიათ სახალხო თეატრათ. და აი, როგორც გამოყვანილ წყალის, აგრეთვე საყდრის თეატრათ გადაქცივის საზიოთ გახსნის დღესასწაულზე წასასვლელად იყო ჩამოსული მიპატრებული ეს წარმომადგენლები. აქ ძალაუფლებად მომბაგონდა ჩვენი „ნაფიც-მსაჯულთა“ ქორიკანობა იმის შესახებ, რომ ბოლშევიკები ვითომდა ძალად აკეტებენ საყდრებს და ამ რიგად ძალას ხმარობენ სარწმუნოების წინააღმდეგ. აქ სხვათა შორის, სხენებულ სოფლის გარდა, სხვა ბევრ სოფლებშიაც დაუშურავთ ეკლესიები, მაგრამ ყველგან თვით სოფლებებს დაუშურავთ დამოუკიდებლად გარეშე ვინმეს რჩებდარიგებისა. კეტენ საყდრებს, მაგრამ სამაგიეროდ ხსნიან სკოლებს, სამკითხველო-ბიბლიოთეკებს, აარსებენ კოოპერატივებს და სხვა განათლებულ დაწესებულებებს. გლეხკაცს ძველდაც ჰქონდა ასეთი სურვილი სწავლა-განათლებისადმი, მაგრამ მას უშლიდენ, ვასავალს არ აძლევდენ და უჩვენებდენ მხოლოდ სიბნელის და მონობის გზას. დღეს კი მას მიეცა საშუალება და ფართდაც სარგებლობს ამ საშუალებით...

**ძველი მუშა.**

**პირველ სტამბის მუშათა ცხოვრებით.**

პირველ სტამბაში მუშაობს დაახლოვებით 140 მუშა. მშენებერად მოწყობილია განყოფი-

ლებები, მაგრამ მთავარი ნაკლი ქონდა ამ სტამბას: არ არსებობდა ამ სტამბასთან სამკითხველო და სასაღილო. მუშებს საუზმის დროს უხდებოდათ ხოლმე შიგ წარმოებაში საუზმის ჭამა, რაც დაუშვებელი იყო. ესლა ახლად არჩეულმა საქარხნო კომიტეტმა თავის კულტურულ კომისიის წევრებთან ერთად გამოსძებნეს შენობა და ამ დღეებში გვექნება, როგორც სასაღილო, ისე სამკითხველო. მხოლოდ ერთი ნაკლი გაქვს: ჩვენს შინაურ კომიტეტში თითქმის ოთხმოც პროცენტს მთელი მუშებისა შეადგენს ქართველები—განცხადებები კი ცხადდება მხოლოდ რუსულ ენაზე, ზოგიერთ მუშას არ ესმის და სჭირდება თარჯიმანის დაქვერ, იმედია ამასაც მიაქცივს ყურადღებას ადგილობრივი კომიტეტი, გაისწორებს ამ შეცდომებს. ამ ბოლო დროს ჩვენს ქარხანაში ხშირად მუშა მუშას ეჩხუბება ლანძღვა გინებით. ეს დაუშვებელია მუშაობის დროს. მთელი მუშები ამ ჩხუბს აქცივს ყურადღებას, მუშაობა კი ჩერდება, ჩვენ მუშებს ერთმანეთში არაფერი გვაქვს ვასაყოფი. ადგილკომმა ამასაც ყურადღება მიაქცია, სათანადოდ დასაჯა ის მუშები, რომლებიც არღვევენ ამ წესებს.

**პირველი სტამბის მუშა.**

**რა მდგომარეობაშია თბილისის სახლები.**

ახალი ეკონომიურ პოლიტიკის შემდეგ სახლის პატრონებს მიენიჭათ ზოგიერთი უფლებები: მაგ. როგორც არის თავისი სურვილით გაქირავება ცარიელი ოთახების თავისუფალ ფასებში და სხვა... ეს იმიტომ მოხდა ასე, რომ მხედველობაში იყო მიღებული შემოსავლიდან თანდათანობით შეეკეთებინათ სახლები, მაგრამ ზოგიერთი სახლის პატრონები თუმცა ვეარიან ქირას ღებულობენ, მაგრამ ერთს ლურსმანსაც არ არტყამენ ჯერ-ჯერობით და შემოსავალს იყენებენ თავისი სურვილისამებრ. საქირაა მდგმურებს ისეთი უფლებები მიენიჭათ, რომ თვითონ შეაკეთონ რაც აუცილებლად საქირაა და სახლის პატრონს ქირაში გამოუქვითონ. მაგრამ აქ ყურადღება უნდა მიექცეს ზოგიერთა წამებულს მდგმურებსაც. ამ სტრიქონების დამწერს ხშირათ მისაღება ხოლმე ერთერთ სამილიციონ უბანში სიარული და შემთხვევა მქონდა. გაცნობოდი თუ რომელი მდგმური რამდენს იხდის ქირას. მაგალითად: როდესაც ცნობებს ვაგროვებდი თუ ამ და ამ სახლის პატრონს რამდენი აქვს შემოსავალი, რადგანაც ამ უკანასკნელს ვერ შეაქვს შეფასებითი გადასახადი აღმასკომში, აღმოჩნდა შემდეგი: ერთს მდგმურს თვეში უძღვევია სახლის პატრონისათვის 20,000,000 მან. ისეთს მდგმურს, რომელსაც ჯამაგარი აქვს 30 საქ. მანეთი. მეორე მდგმური იხდის 2 1/2 მილ. მანეთს. ასეთები ხშირია. ზოგიერთს შემთხვევაში ათ-ათს და ოც-ოცს მილიონ მანეთებს სახლის პატრონები არ იღებენ და მდგმურებსაც უსწავლიათ გზა და შეაქვთ ხაზინაში. სახლის პატრონი არა სჩივის, რადგანაც მარკების ფული უფრო მეტი ღირს, ვინემ ქირა და ისიც ერთი წლის ნერე გაიჩრევა საქმეო. მე ლაპარაკი მაქვს

ისეთს სახლის პატრონებზე, რომლებიც განაბირა უზნებში არიან და სახლებიც თანდათანობით ექცევათ. საქირაა სუყველამ იცოდეს ერთხელ და სამუდამოთ თავისი მოვალეობა, სახლის პატრონმა და ზოგიერთმა მდგმურებმა. პროფკავშირებმა უნდა მოუწოდონ მუშა-მოსამსახურეთ, რომ თავიანთი ხედრი ქირა, რაც დაწესებულია შრომის კომისარიატის მიერ უყველად გადაინადონ და ამავე დროს სახლის პატრონმაც შეიმოსვოს და კვალობაზედ შეაკეთოს სახლები, თორემ თუ ასე ვაგრძელდა, ზოგიერთი სახლები სულ ერთიანთ დაინგრევა.

მუშკორი მკერვალი ნიკო.



**პრეზა მესხის სიხაუი.**

(დასასრული)

ა. ფარინიეის საბოლოო სიტყვა.

ამხანაგებო! მე საბედნიეროთ არ მიხდება ვისიმე წინააღმდეგ რაიმეს თქმა. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ აქ ზოგიერთების სიტყვებში იყო ნათქვამი: დიდი საპასუხისმგებლო საკითხს ვწყვეტთ და ღრმა ჩათქვებაა საქირაო. მის შემდეგ, რაც თვალთ დავინახეთ ის, თუ რას აკეთებდა და აკეთებს მეორე ინტერნაციონალი საზოგადოთ და კერძოთ მისი განყოფილებები სხვა და სხვა სახელმწიფოებში, განსაკუთრებით კი ჩვენში, ყოველი ცოტა თუ ბევრათ შეგნებულ მუშისთვის უდავოა ის, რომ მის რიგებში დარჩენა და ბრძოლის მეთოდებისთვის მხარის დაქვერა დამლუბველი და დალატია მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესების და რევოლიუციისა. მას შემდეგ, რაც ყველასათვის თვალსაჩინო შეიქნა მეორე კომუნისტური ინტერნაციონალის რევოლიუციონური მარქსიზმის ცხოვრებაში გატარება-შესაძლებლობანის ფაქტები, უნაყოფოთ დროს და ენერგის ხარჯვა, კიდევ და კიდევ თავი ვიხეთქათ ცალიერ სივრცეში აგებულ კედლებზე და ამას კვლევა-ძიება, შექმნილ მდგომარეობის აწონ-დაწონვა უწოდოთ. მას შემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლიუციამ და მუშურ-გლეხური რესპუბლიკებმა-საბჭოთა სისტემამ თავისი არსებობის ექვსი წელი იდღესასწაულა, რომლის ხემძღვანელი, სულის ჩამდგმელი-გზის მაჩვენებელი არის კომუნისტური პარტია, ზედმეტია ფიქრი ჩვენი მათდამი დამოკიდებულების გამორკვევა-პასუხის შესახებ. ჩვენ და ახალგაზრდა მარქსისტებმა, რიცხვით 17000 მუშა და გლეხმა ეს საკითხები გადავწყვიტეთ, ჩვენ დადგინებლებს ყოველ დღე უერთდება ათეული და ასეული რიცხვი ამხანაგების და თითქმის აღარავინ არ რჩება არალეგალურ ცეკას რიგებში. თვით თავმჯდომარე ამ ცეკასი სეთ დედა-რიანიც კი დარწმუნდა იმ დაღუპველ პოლიტიკის უღარესობაში, რომელსაც აწარმოებს მეორე ინტერნაციონალი საზოგადოთ და განსაკუთრებით კი აქედან საზღვარ გარეთ წასულების მიერ შექმნილი ბიურო და აქ მყოფი ცეკა და ივიც (ს. დედარიანი) იზიარებს ჩვენს ნაბიჯს-პლატფორმას. აქ ზოგიერთებმა სთქვეს, რომ ჩვენ სრული შეგნებით და გულწრფელად ვიზიარებთ პროლეტარიატის დიქ-



ტატურას და სასურველია კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ნდობით მოგვეპყრობოდესო. გამოდის, რომ ვითომდა კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უნდობლათ უყურებს იმ მუშებს და გლეხებს, ვინც ინტელიგენციას, ვინც შეგნებულათ და გულწრფელად იღებს მონაწილეობას საბჭოთა აღმშენებლობაში და იზიარებს პროლეტარიატის დიქტატურას-კომუნისზმის მცნებას, რა თქმა უნდა, სინამდვილეში ამის მსგავსი არაფერი არ არსებობს, თორემ, რომ ეს ასე ყოფილიყო, იმ შემთხვევაში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დემოკრატებოდა იმ უფუნურს, რომელიც ტოტზე იჯდა და ტოტს ძირში სჭრიდა.

მე ვაცხადებ, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სრული ნდობით ეპყრობა ყველა იმთ, ვინც გულწრფელად თანამშრომლობს საბჭოთა აღმშენებლობაში, უფრო მეტის ნდობით ეპყრობა იმათ, ვინც პროლეტარიატის დიქტატურას უპყრენ მხარს და განსაკუთრებით ნდობით ეპყრობიან იმათ, ვინც ვარდა ამისა კომუნისზმის მცნებას იზიარებს. ასე რომ უსაფუძვლოა იქნება ეს გულწრფელობა, იყავით გამსჭვალული ნდობით და მოგვეპყრობიან ნდობით, ეს ნათელი და უდავოა და რათ სურთ ზოგიერთებს ეს გახადონ აქედანვე სადავოთ, თავი დაანებეთ იმის მტკიცებას, რაც არ არსებობს თუ გსურთ სთქვათ სიმართლე და თუ ვისმის სხვა განზრახვა უდევს გულში, მას არც უფლება აქვს უყვიროს ვისმის ის, რაც არ არსებობს და თავისი საზომით ნუ ზომავს, ნუ უდგება სხვასა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა არავის ეხვეწება, გადააფასე შენი მსოფლმხედველობა, დაიწუნე შენი მიზანშეუწონელი მოქმედება-მოღვაწეობა და მიდი ჩემთანო, და თუ ვინმე თავისით მიდის შეგნებამდის და გულწრფელათ-შეგნებულათ უერთდება მუშათა კლასს ბურჟუაზიული ქვეყნის დასამზობათ, ეს კომუნისტურ პარტიას უხარია და სხვა ფრცოვან არცაა წარმოსადგენი. აქ ქანტურიშვილიმ ის აზრი გაატარა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი კულტურულ-ეკონომიურათ აღორძინება-აყვავების უკეთესი გარანტიის მომცემი მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირიაო. ასეთ დასკვნამდის მივიდა დიდნის ცვლევადების შემდეგ სებით დედადარიანიც. ამ აზრისა ვიყავით ჩვენ, ყველა ისინი, ვინც მონაწილეობას ვღებულობდით ავგისტოს ყრილობაზე, რისთვისაც ჯვარზე გვაცვა არალეგალურმა ცეკამ და მისი თავმჯდომარე სებით დედადარიანმა და თქვენც. მაგრამ ჩვენ ღრმით ვიყავით დარწმუნებული, რომ სცდებოდა სებით დედადარიანი, ცეკა და

თქვენც და გვეწამდა, რომ ჩვენთან უნდა მოსულიყო სებით დედადარიანი და თქვენც, ესეც გამართლდა. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი და ოქტომბრის რევოლუცია, საზოგადოთ მუშათა კლასის დიქტატურა, რომ თავდებია იმისი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა-კულტურულათ და ეკონომიურათ აყვავება-აღორძინება უფრო უზრუნველ ყოფილია, ვიდრე სხვა სახის და შინაარსის მართვა-გამგეობის დროს იქნებოდა, ეს დღეს ყველა ჰქუთათ ყოფისათვის უდავოა. და არამთუ ეს, ოქტომბრის რევოლუცია რომ არ ყოფილიყო, საქართველო არც იმ დამოუკიდებლობას მიიღებდა, რომელიც იყო 1917—1921 წლამდის და, მე ვფიქრობ, არც ისე იოლათ იცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას ევროპის სახელმწიფოები, რომ არ ყოფილიყო ოქტომბრის რევოლუცია და პირველათ არ ეცნო საბჭოთა რესპუბლიკებს მთზე უწინ ეს. ესეც კოტბაა, რომ არ ყოფილიყო ოქტომბრის რევოლუცია, არც ინგლისში გაიზრდებოდა მუშათა პარტია იმ ზომამდის რომ ინგლისის მთავრობის თავმჯდომარეთ თავიანთი წარმომადგენელი წამოეყენებიათ.

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ყველაფერ ამაებზე ლაპარაკის გაგრძელება არ არის საჭირო, ვინაიდან ყველა თქვენთაგანმა ძალიან იცის ეს და გამორკვეულიცა ხართ, ამიტომ მე კიდევ და კიდევ გიტყვით იმას, რომ უსაფუძვლოა, ვითომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უნდობლათ უყურებს იმათ, ვინც გულწრფელათ-შეგნებულათ თანამშრომლობს და იზიარებს პროლეტარიატის დიქტატურას, უსაფუძლო გამოდგა ისიც, ვითომ კომუნისტები არ არიან მომხრე საქართველოს დამოუკიდებლობა-კულტურულ-ეკონომიურად აყვავება-აღორძინებისა. უსაფუძლო გამოდგა ისიც, ვითომ დემოკრატიზმით-პარლამენტარიზმით უფრო დაუხალისებელით სოციალისტურ შესაძლებლობის შექმნას, აშკარა შეიქმნა ისიც, რომ მეორე ინტერნაციონალმა ვერ შეიძლო ვერ მოახერხა ამოძრავება იმ მუშების, რომლებიც მისდევდნ მას და ბოლოს შემთხვევებით პოლიტიკით იქამდის მივიდნ, რომ რურის ოკუპაციას მხარი დაუჭირეს და გერმანიის რევოლუციას უდალატეს. ყველა ამის შემდეგ, ამხანაგებო, ჩვენ სრული უფლება გვქონდა ავგისტოს ყრილობაზე გამოვეტანა დადგენილება ჩვენი ყოფილი პარტიის ლიკვიდაციის შესახებ, ვინაიდან ცეკა და საზღვარგარეთ დაარსებულმა ბიურომ დაისახეს მიზნათ ეწარმოებიათ საქართველოს მშრომელი ხალხის დამღუპველი პოლიტიკა, რის განხორციელებისათვისაც იღებენ ღირებულებებს მეორე ინტერნაციონალიდან. აშხ. ფარინგვის საბოლოო სიტყვის შემდეგ არჩულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა რეზოლუციის შემუშავება, კომისიაში შევიდნ: 1) ფერემიძე პორფილე, 2) მთიულიშვილი ვანო, 3) ბერიტაშვილი ლუკა, 4) კუბარაშვილი ლავრენტი, 5) ქვათაძე თათნა, 6) მიქელაძე დავითი, 7) მუჯირი დავითი, 8) ქანტურიშვილი სიო და 9) ჩაქუა არტემ. რეზოლუცია \*) წაკითხულ და ერთხმად მიღებულ იქნა, რომელსაც მოაწერა ხელი 233 პარტიის წევრმა.

ტრამვაელი.

\*) იხილ. „სიბ. ხმა“ № 10.

პ. ნინიძის ჩაქოვლა მუშათა უკანში.

(მუშის ხმა)

მესამე დღეა მას შემდეგ, რაც დაიწყო ამბროსის და მისი „შაიკის“ მღვდლების გასამართლება ლენინისუბანში, მღვდლების, რომელნიც საუკუნოების განმავლობაში უზნობდნ ხალხს საღ აზროვნებას. ისინი თამამათ შეიძლება შეადარო იმ ეკლიან ბუჩქს, რომლის კანთებს ქვეშ იზრდილებოდა და განვითარებას უშლიდა ნაშს ყვავილებს, სოციალისტურ აზროვნებას და როცა საბჭოთა მთავრობა გასამართლებს ამ ბნელეთის ტარტაროზებს, მათ დამცველად გამოდის კირილე ნინიძე. ლენინის უზნის მუშები კარგათ იცნობენ კირილე ნინიძეს. ის დიდი რიხით იცავდა ვითომდა შემარტებენ მიმდინარეობას დამფუძნებელ კრებაში მენშევიკების ბატონობის დროს. ისიც კარგათ იცინა, რომ მის შემარტებნობა გამოწვეული იყო მით, რომ მას ოთახებში ჩამოართვეს. რვა ოთახიდან მას ოთხი დაუტოვეს მაშინ, როდესაც მუშები სარდაფებში ცხოვრობდნენ. აი როგორი თვისების „სოციალისტი“ მოქალაქე—ნინიძე—ის ისეთი რიხით იცავს მღვდელ-ტარტაროზებს, რომ გვერნებათ ნიკოლოზის ტანჯულ სოციალისტებს ესარჩლებათ. მან ისიც კიკაბედა, რომ მსაჯულთა წინაშე პროტესტით გამოვიდა და სთქვა, რომ პრესა უღირსად იხსენიებს დამცველებს და ღვდლებსო ასეთი ქცევა მოქალაქე ნინიძისა ღირსეულ ზიზღს იწვევს მუშებში—განა გასაკიცხია მუშების ანტიპატიია იმ ბნელეთის მოციქულებისადმი, რომლებიც, ვიმეორებ, ხელს უშლიდნ მუშათა მოძრაობას და რასაკვირველია, როდესაც მუშები ბნელეთის მოციქულებს ასამართლებს, მათ დამცველებს ღირსეულად უმასპინძლებდა და ზიზღით იხსენიებს. ყველაზე მეტათ ზიზღს მუშებში მოქალაქე ნინიძე იწვევს.

ნ. ჩლაიძე



კათალიკოს ავგროსის და მის თანამშრომელთა განსამართლება.

10 მარტს, დღის 1 საათზე ნაძალადგვის თეატრში დაიწყო კათალიკოს ამბროსის და მისი მახლობელი თანამშრომლების გასამართლება.

დილიდანვე ნაძალადგვის თეატრს მოაწყდა დიდძალი საზოგადოება, რომელიც დიდად დაინტერესებულია საქმის ვითარებით.

თეატრი გაჭედლიაა ხალხით, რომელთა შორის სკარბობს მუშური ელემენტი.

სასამართლო მოთავსებულია სცენაზე. სასამართლოს სხდომა იწყება სრულ 1 საათზე. სცენაზე მარჯვენა მხრით სხედან სახელმწიფო ბრალმდებელი (პროკურორები) ამხანაგები ნიკ. ოკუჯავა, კ. მაჭავარიანი და საზოგადოებრივი ბრალმდებელი აშხ. ა. ერქომაიშვილი—სცენის მარჯვენა მხარე დაკავებული აქვს დამცველთა კოლეგიას. დამცველთა შორის არიან—მღვდლიციე, იოსებ ბარათა

შვილი, სამ. დადიანი, ალ. ყაზნეფი, კირ. ნინიძე, გელაზაროვი, პ. ჯავახიანი და გუნდაძე შემოკრები ბრალდებულნი: პატრიარქ-კათალიკოსი ამბროსი, მიტროპ. ნაზარი, არქიმანდრიტი ჯაფარიძე, მღვდლები ლაზარიშვილი, მარკოზ ტყემალაძე, მირიანაშვილი, ვალ. ცინცაძე, ანტონ თოთბაძე და მოქალაქენი ნიკოლოზ არჯვანიძე და ნიკ. თავდგირიძე.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ანზ. გ. ჩხეიძე. წევრები ანზ. ვ. წიფწივაძე, გ. როველაძე. მდივანი გრ. აბაყელია.

**პირველი დღის სხდომა**

**დამცველთა შუამდგომლობა**

მოქ. ნინიძეს კათალიკოს ამბროსის საქმე გამოკვეთულად არ მიაჩნია და მოითხოვს წინასწარ გამოძიების გაგრძელებას. მისი აზრით არ ყოფილა თვით ამბროსის უცხადებმა იმის საბუთად, რომ შემორანდუმი მის მიერ გაგზავნილია იმ მიზნით, რომ საბუთთა ხელისუფლების წინააღმდეგ უცხოეთის ძალების ჩარევა გამოიწვიოს. ბრალდების დასამტკიცებლად თურმე აუცილებელი ყოფილა საქართველოს მაშინდელი საელჩოს ცნობა, ან კონვენციის თავმჯდომარის დამადასტურებელი განცხადება. თვით ამბროსის მიერ თავის დანაშაულის აღიარება დანაშაულობის დამადასტურებელ საბუთად არ გამოდგება. ვიდრე სწორედ ასეთი „ნამდვილი“ ცნობა მიღებული არ იქნება, საქმის გარჩევა გადადებული უნდა იქნეს.

მოქ. ნინიძის აზრით, იმასაც თურმე გამოკვეთა სჭირია, ვახილეს თუ არა რაიმე ქონება საქართველოდან საბუთთა რუსეთში? ამისთვის მისი აზრით უნდა დაინიშნოს საქმისპირა კომისია, რომელიც რ. გ. ბიულეტენების გადასინჯვით ამ ხმების „სინამდვილეს“ გამოარკვევს.

საქართველოს გლეხობის ნებაყოფლობითი სურვილი, რომ ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბუღებში—ეკლესიებში გადაკეთებულ იქნეს სკოლები, მოქ. ნინიძეს არ მიაჩნია სინდიკატის თავისუფლების გამოხატულებათა და სეიშის კითხვას, იზღალება თუ არა სამოღველოების ინტერესი დეკრეტის წინააღმდეგ.

ყველა ამ საკითხების გამოსარკვევად მოქ. ნინიძე მოითხოვს საქმისპირა კომისიის დანიშნვას. დამცველი გუნციძე აცხადებს, რომ ბრალდებულთაგან ადგილი არ ჰქონია საეკლესიო ქონების გატაცებას, არამედ მათ მიზნად ჰქონდათ ქონების გადაარჩენა დაღუპვისაგან, რასაც ცხადათ მოწმობს თურმე საქათალიკოსო საბუთის საბუთები. აუცილებლად საქმითა ექსპერტების მიერ საკათ. საბუთის ოქმების შემოწმება, იმის გამოსარკვევად მართლად ჰქონდათ ბრალდებულთა ქონების მითვისების განზრახვა, თუ ზრუნავდნენ დაეცვათ ერისთვის ეროვნული სიმდიდრე? „წმინდა მამათა“ წმინდა ვანზრახვის საბუთად დამცველი დადიანის აზრით, გამოდგება ყოფილი კათალიკოსის ლეონიდეს წერილი, სადაც იგი დარიგებას აძლევს სამღველო პირებს, როგორ „გადაარჩინონ“ (ვისგან?) სახალხო ქონება. მხოლოდ საჭიროა თვით ამ წერილის საბუთად ქცევა, რისთვისაც იგი უნდა გადაეცეს სპეციალურ საქმისპირა კომისიას.

დანიარჩენი დამცველებიც მოითხოვენ აუცილებლად საქმისპირა კომისიის გადაეცეს შემოსავალ გადასახდის ის წიგნები, რომელიც ოდესღაც უწარმოებიათ სულიერ მამებს. „თვინიერ“ ამის, მათი აზრით, სიმართლე შეიბღლება და „სულნი მართალნი“ დაიჩაგრებიან.

**ბრალდებულთა პასუხი.**

სახელმწიფო ბრალდებულთა ანზ. კ. მაკავარიანს, ოკუპაციას და ერქომაიშვილს საქმე საქმარისად გამოარკვეულად მიაჩნიათ და საქმით არ ცნობენ წინასწარ გამოძიების გაგრძელებას. რა საქმითა საელჩოს ცნობა შემორანდუმის გაგზავნის შესახებ, როცა ამას არ უარყოფს თვით ბრალდებულნი. ნუ თუ განსაკუთრებული საქმისპირა კომისიის მიერ გამოკვეთა სჭირია იმას; გადასახდეს თუ არა გორის მახრიდან ქართველი გლეხობა და მათ ნაცვლად დაასახლეს სხვა ერის ხალხი. დამცველთა მიერ წამოყენებული სადაო კითხვები ხევისებით გამოარკვეულია და არ საქმით განსაკუთრებულ საქმისპირა კომისიებს გამოსაძიებლად. ბრალდებულნი მოითხოვენ საქმის გაგრძელებას.

მხარეების მცირე კამათის შემდეგ სასამართლოს შემადგენლობა საკითხის გამოსარკვევად სათათბიროდ გადაის.

**სხდომის განახლება.**

2 საათის მსჯელობის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს დადგენილება, რომლის თანახმად საქმის წინასწარი გამოძიების გაგრძელება, საქმის ვითარების ყოველ მხრივ გაურკვეველობის გამო, ზედმეტად არის ცნობილი და რომლის მიხედვით სასამართლო საჭიროთ სთვლის პროცესის გაგრძელებას.

მოწვევების გამოძახებით ირკვევა, რომ გადა ერთისა ყველა გამოცხადებულია.

**საბრალდებლო აქტის წაკითხვა.**

სასამართლოს თავმჯდომარე ანზ. ჩხეიძე კითხულობს საბრალდებლო აქტს, თვითეულ ბრალედ ბუღისადმი, რის შემდეგაც სხდომა წყდება.

**II მართის სხდომა**

(მეორე დღე)

**სხდომის წინ**

**ბრალდებულთა შემოყვანის დროს დარბაზში გაისმის ხმები: ძირს ამბროსი, ზიზლი ამბროსი.**

ს. ს. 10 წ. სხდომის ხსნის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ანზ. გ. ჩხეიძე.

სასამართლოს წინაშე წარსდგა მოწმე პლატონ ცქიტიშვილი, რომელიც წინააღმდეგით არ გამოცხადებულა.

იწყება ბრალდებულთა გამოძახება.

**რაში სდებენ ბრალს**

**ბრალდებული ხელაია** (კათალიკოსი ამბროსი).

თავმჯდომარე ეკითხება მას, სცნობს თუ არა თავს დამნაშავედ იმ ბრალდებებში, რომელიც მას, აქვს წაყენებული უზენაესი სასამართლოს მიერ და რომელიც შეიცავს: მოწოდების შედგენას გენუის კონფერენციისადმი საქათალიკოსო საბუთის წევრებთან ერთად; ეს

მოწოდება შეიცავდა ცრუ ცნობებს საქათალიკოსო არსებულ მდგომარეობის შესახებ; მან იცოდა მენშევიკური მთავრობის გაქცევის დროს გატაცებული საეკლესიო განძეულობის დამალვის შესახებ და არ აუწყა ეს მთავრობას; ის აგრედვე საქათალიკოსო საბუთის სხვა წევრებთან ერთად არ დაემორჩილა მთავრობის დადგენილებას და არ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი საუწყებათაშორისო კომისიაში საეკლესიო განძეულობის ჩასაბარებლად, ბრალდებული არც ერთ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ სცნობს.

**ბრალდებული ანდრია ლეჟავა.** (ქუთაისის მიტროპოლიტი ნაზარი) არ დაემორჩილა მთავრობის დადგენილებას ყოფ. სამხედრო ტაძრის საეკლესიო განძეულობის ჩაბარების შესახებ, რადგან შეჩვეული იყო იქ ღვთისმსახურებას, ხალხის დატყუებას და კიდევ სხვა რამეებს, მაგრამ თავს დამნაშავედ მაინც არა სცნობს.

**ბრალდებული კალისტრატე ცინცაძე.** (ქაშვეთის ეკლესიის წინამძღვარი). მას ბრალდება ფულგებისა (ფული უყვარს) და მატერიული წიგნების დაუდევარი წარმოება; (იცის როგორ „მოაწყოს“ „საქმეები“), რასაც მოყვა სახალხო ქონების გაფლანგვა. მას ბრალდება აგრეთვე ამბროსისთან ერთად გენუის კონვენციისადმი მოწოდების შედგენა და პ. ჯაფარიძისათვის სახალხო ქონების გადაამალვაში ხელის შეწყობა, (ხელი ხელს ჰბანს), არც ის სცნობს თავს დამნაშავედ.

**ბრალდებული მარკოზ ტყემალაძე** (სიონის ტაძრის წინამძღვარი). ბრალდება იგივე, რაც ცინცაძეს.

თავს დამნაშავედ არ სცნობს.

**ბრალდებული პ. ჯაფარიძე.** (მცხეთის საპატრიარქო ტაძრის არქიმანდრიტი). მცხეთისა და სიონის ტაძრების საეკლესიო ქონების და განძეულობის გადაამალვის მთავარი გმირია. თავს დამნაშავედ არ სცნობს, თუმცა ეს გაუბედავებლად „გმირს“ არ შეშვენი.

**ბრალდებული იოხებ მირიანაშვილი.** (დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი).

ამან ამბროსისთან ერთად შეადგინა კონტრრევოლიუციონური მიზნით მოწოდება გენუის კონფერენციისადმი, დიდუბის ეკლესიაში წიგნებში შეუტანლად ინახავდა 30 გირვანქა განძეულობას, რადგან ასე სჯობდა მისთვის. წესიერად არ აწარმოებდა საეკლესიო წიგნებს, რის გამო გაიფლანგა ხალხის ქონება.

თავს, რასაკვირველია, დამნაშავედ არ სცნობს არც ის.

**ბრალდებული დიმიტრი ლაზარიშვილი.** (ქაშვეთის ეკლესიის მღვდელი). ხელი შეუწყო (ძმა ძმისთვის—იტყვიან) ჯაფარიძეს საეკლესიო ქონების და განძეულობის გადაამალვაში.

თავს დამნაშავედ არ სცნობს.

**ბრალდებული ანტონ თოთბაძე.** ბრალად ედება, რომ არ დაემორჩილა მთავრობის დადგენილებას ყოფ. სამხედრო ტაძრის საეკლესიო განძეულობის ჩაბარების შესახებ, წესიერად არ აწარმოებდა საეკლესიო წიგნებს, რასაც მოყვა ხალხის ქონების გაფლანგვა. თავს დამნაშავედ არ სცნობს.

**ბრალდებული ნიკოლოზ თავდგირიძე.** მონაწილეობას იღებდა ამბროსისთან ერთად გე-

ნუს კონფერენციისადმი მოწოდების შედეგად ნაწი, არ დაემორჩილა მთავრობის დადგენილებას ყ. სამხედრო ტაძრის საეკლესიო განძეულობის ჩაბარების შესახებ.

თავს დამნაშავედ არ სცნობს.  
 ბრალდებული ნიკოლოზ არჯევანიძე. არ დაემორჩილა მთავრობის დადგენილებას ყოფ. სამხედრო ტაძრის საეკლესიო განძეულობის ჩაბარების შესახებ.

თავს დამნაშავედ არ სცნობს.  
 ბრალდებულთა დაკითხვის შემდეგ სხდომა 3 წუთით წყდება.

**სხდომის განახლება.**

სხდომის განახლების შემდეგ, ვინაიდან არც ერთი ბრალდებული თავს დამნაშავედ არ სცნობს, იწყება საჯარო გამოძიება.

პირველათ სსსამართლო იწყებს ბრალდებულ ხელის დაკითხვას.

კითხვაზე, თუ რათ მიმართა მან გენუის კონფერენციას, ბრალდებული ორპოვულ და ბუნდოვან პასუხს იძლევა.

**თავმჯდომარე:** თქვენ მოითხოვდით წითელი ჯარის გაყენას.

**ხელაია:** ორპოვულათ უპასუხებს, რომ ის ამბობდა ინტერვენციის წინააღმდეგ, ინტერვენცია კი ხდება ჯარის საშუალებით.

**თავმჯდომარე:** თქვენ იცით, რომ საბჭოთა ხელისუფლება იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს.

**ხელაია:** ვიცი, უსათუოდ.

**თავმჯდომარე:** თქვენ სთქვით, რომ წინააღმდეგი ხართ უცხო სახელმწიფოების ჩარევის, თვითონ კი ისეთ ხალხს მიმართავდით, რომლებიც მშრომელი ხალხის ინტერესებს არ იცავენ.

**ბრალდებული:** ამ შენიშვნაზე უცებ არ იძლევა პასუხს. მცირედი „მოფიქრების“ შემდეგ ამბობს, რომ გენუაში ირჩეოდა პატარა ერების თავისუფლების საქმე და მეც მივმართე, მით უფრო, რომ აქედან კონფერენციაზე წავიდა საქართველოს წარმომადგენელი და მე დარწმუნებული ვარ ის დაიცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

**თავმჯდომარე:** მაშ თუ იცოდით, რომ საქართველოს წარმომადგენელი უკეთ დაიცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მაშინ რა საჭირო იყო სხვისთვის მიმართვა.

**ბრალდებული:** სდუმს.

**თავმჯდომარე:** თქვენ ამბობდით, რომ საქართველოდან გააქვთ ხალხის ქონება. შეგიძლიათ თუ არა დასახელოთ რა წაიღეს?

**ბრალდებული:** ამბობს, რომ მან გაიგონა ამის შესახებ. შეუძლია დაამტკიცოს ეს, თუ საბუთები იქნება მოტანილი.

**თავმჯდომარე:** შენიშნავს, რომ მათ განკარგულებაში იყო აღმნი დრო და რათ არ მოიტანეს ეს საბუთები, როცა სსსამართლომ მრავალჯერ მოსთხოვა ასეთები.

**ბრალდებული:** სდუმს.

**თავმჯდომარე:** გითხრათ თუ არა თქვენ ლეონიდა ქონების გადახალისის შესახებ?

**ბრალდებული:** არ შეეძლო ეთქვა, რადგან მე სოხუმში ვიყავი და ცოცხალს ვერ მოუსწარი.

**თავმჯდომარე:** თქვენ, როგორც ეკლესიის მეთაურს, უნდა გკოდნოდით, თუ სად იყო განძეულობა.

**ბრალდებული:** მითხრეს, რომ სასწავარ-გარეთ არის წაღებული. საკათალიკოსო საბჭო დარწმუნებული იყო, რომ განძეულობა სასწავარგარეთ არის წაღებული.

ბრალდებულს კითხვებს აძლევს სსსამართლოს წევრი ანხ. წიფწივაძე.



**ყოფილ გენუაშიაგვის პრეზ.**

კვირას, 12 მარტს, მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა ყოფილ მენშევიკების ერთი ჯგუფის სხდომა, რომელსაც დაესწრო ყოფილ მენშევიკებს გარდა რამდენიმე პასუხისმგებელი კომუნისტს და აგრეთვე ზოგიერთი ისეთებიც კი, რომლებიც ოფიციალურად მენშევიკური პარტიიდან ჯერაც არ გამოსულან.

დღის წესრიგში იდგა ს. დევიდარიანის მოხსენება ზოგიერთ პრაქტიკულ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც მისი აზრით, უნდა გადასდგან ყოფილ მენშევიკებში.

კრებას დაესწრო 100-მდე კაცი.

თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ანხ. ს. ფარნივი, მდივანთ ანხ. ა. რუხაძე.

ს. დევიდარიანმა თავის მოხსენებაში გაატარა ის აზრი, რომ საჭიროა ამ კრებამ აირჩიოს ორი კომისია პრაქტიკული მუშაობისა და ყოფილ მენშევიკების ამ მუშაობაში ჩასაბმეღად.

პირველი კომისიის მოვალეობაა დაარსება მარქსიზმისა და ლენინიზმის შესასწავლ საზოგადოების.

ამ საზოგადოებაში უნდა ჩათრულ იქნან ყოფილი მენშევიკები.

მეორე კომისიის მოვალეობა იქნება კულტურული მუშაობის გამოცეცხლება, ბოძოლა წერეთლების უკოდინარობასთან მთელ საქართველოში, ორგანიზაცია ქართული წიგნის გამოცემის, საეკონომიკო საზოგადოების შექმნა და სხვა.

ს. დევიდარიანის მოხსენებამ გამოიწვია გაცხარებული კამათი. ბევრი ამხანაგები აღნიშნავენ, რომ კულტურული და პოლიტიკური მუშაობა არასოდეს არ ყოფილა ისეთ დონეზე დაყენებული, როგორც ესაა ამჟამად.

ერთი ყოფილი მენშევიკთაგანი ამბობს:

— ამ უკანასკნელ ხანებში უფრო მეტი შეგნება და სწავლა შევიძინე, ვიდრე წინეთ, თუმცადა პარტიაში ვმუშაობ დაარსებიდან.

**ანხ. ლაფაჩი** შეეხრა ს. დევიდარიანის განცხადებას უნდობლობის შესახებ და განაცხადა:

— ჩვენ, როცა ხელს ვაწერდით და გამოვდიოდით ციხეებიდან ეს იყო გულწრფელი საქციელი. აქ არავითარ უნდობლობას ადგილი არ აქვს. რაც შეეხება სამეცლინო წრეების, დაარსებას ასეთი წრეები აქვს კომუნისტურ პარტიას. არაა საჭირო პარალელური წრეების შექმნა. მივიღეთ ღია გულით იმათთან და იქ ვიმუშავით.

**ანხ. ი. ჯუღელი** საუბრობს სცნობს ასეთი კომისიების შექმნას, რომ ამით ყოფილი მენშევიკები დაუახლოვდენ კომპარტიას.

**ანხ. კ. თოფაძე.** უნდობლობას სთესავს და აღბრუნებს თვითონ ს. დევიდარიანი, როცა არ ამბობს საითკენ მიდის. ჩვენ უფლება გვაქვს ვკითხოთ ს. დევიდარიანს, სდგას თუ არა ჩვენს

რიგებში მტკიცეთ და მიდის თუ არა მე-3 ინტერნაციონალისკენ. სიტემა უნდა სთქვას რა პლატფორმაზე.

სანამ ეს უმთავრესი საკითხი არ გამოირკვევა, ისე შეუძლებელია ჩვენ, უკვე გზა გამოირკვეულები, გავეყვით ს. დევიდარიანს, რომელსაც თავისი გზა ჯერ კიდევ ვერ უპოვინა.

**ანხ. გერსამია.** დიდმა ნდობამ დალუბა მენშევიკური პარტია. კომუნისტური პარტია ნდობით მოგუპყრობა მაშინ, როცა საქმით დაამტკიცებ, რასაც ამბობ. უნდობლობის საკითხში ბრალი უდევს თვით მენშევიკებს. თვით ს. დევიდარიანის სიტყვებსა და წერალებში არის აუარებელი წინააღმდეგობა. ესეც იქებებს ბადებს. თანამშრომლობის პრინციპების შესახებ საკითხის დაყენება დაუშვებელია იქ, სადაც სახელმწიფო თვით შენია. ყოფილი მენშევიკები, როცა დადგენ კომუნისტურის დროშის ქვეშ, ამით მათ სთქვებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ეს მათი ხელისუფლებაა არის.

ძალიან დიდ სიტყვას ამბობს **ლ. ბერეტაშვილი.**

— რა მხნდა, რომ ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოიცვალა ეს ხალხი? მაშ ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ჩვენ თავი არ გვექონია. მომეცით დრო, რომ ის, რაც ამ 25 წლის განმავლობაში მისწავლია, გადავფასო. მმართველმა პარტიამ უნდა გამოვეცხადოს ნდობა. მომეცით ნება, რომ პოლიტიკურად არ მოგვედვ, და თუ აქ დადგა ბოძოლა ფაშისმსა და კომუნისტურ შორის, ამ უკანასკნელს ამოვუდგ გვერდში!

მოითხოვს, რომ საჭიროა არა თუ კომისიების არჩევა არამედ იქაც კი, სადაც პასუხისმგებელ ამხანაგებს ანაწილებენ საპასუხისმგებლო პოსტებზე, იქაც ყოფილი მენშევიკების წარმომადგენლები უნდა იჯდენ.

**ანხ. კაიტანჯიანიც** უსაყვედურებს ს. დევიდარიანს და ლ. ბერეტაშვილს, რომ ისინი თვითონ ბადებენ უნდობლობას. თვით ისინი სრულიად გამოუტყვეველნი არიან თავიანთ მომავალ გზაზე.

**ლ. კუპარაველი** ამბობს, რომ 12 ათასი მუშა არ სდგას კომუნისტურის პლატფორმაზე. მართალია, სიტყვით მათ განაცხადეს, რომ დგანან მე-3 კომუნისტურის დროშის ქვეშ. საქმით სხვას აკეთებენ. ბალშევიკების მადლობელნი უნდა ვიყოთ, რადგან მათ რუსეთში რევოლუტია იხსნეს, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლით კი პატარა გვაწყენის.

**ანხ. ა. რუხაძე.** ვრცელ პასუხს აძლევს ს. დევიდარიანს. ყოფილ მენშევიკების მხრით ასეთი კომისიების შედგენა მას მიაჩნია სრულიად დაუშვებლად. ს. დევიდარიანის პროექტს ის აღბრუნებს ძველ დროს, როცა მენშევიკური პარტია ლიკვიდაციას უმჯობობდა თავის თავს და მხოლოდ კულტურულ ფრონტზე მუშაობაში ემებდა რევოლუტის საშუალებას.

ს. დევიდარიანის პროექტი ეს შემოპარებაა ლეგალური მენშევიკების შეიძლება მხნდა ძალაუფლებულად.

ის ამბობს, რომ მარქსიზმის შესასწავლი წრეები უკვე არსებობენ. ამ წრეებში არიან ყოფილი მენშევიკები. თუ ვინმე დარჩენილია, მივიყვანთ იქ.

კულტურული მუშაობისათვის საბჭოთა ხელისუფლებას აქვს მთელი რიგი ორგანიზაციების. პარალელურად ასეთ ორგანიზაციებს ჩვენ ვერ შევქნით, საჭიროა არსებული ორგანიზაციების გაძლიერება, იქ მუშაობის გაცხოველება.

ამხ. ს. ფარნივეი ამბობს, რომ წინეთ ისიც მომხრე იყო ს. დევდარიანის პროექტის, მაგრამ ლ. ბერეტაშვილის და ლ. კუპრაშვილის გამოხატულების შემდეგ ის ვერ დაეთანხმება ასეთი კომისიების შედგენას. თუ ლ. ბერეტაშვილისა და ლ. კუპრაშვილის სიტყვით 90 ა/ლ უყოფ. მენშევიკებისა არ სდგას ჩვენს პლატფორმაზე, მაშინ რა საჭიროა ასეთი კომისიები? თუ ახალი გამოცემები, მარქსისტული გამოცემები არ ეკარება ლ. ბერეტაშვილის გულს, ის ვერც ერთ კომისიაში ვერ იმუშავებს ნაყოფიერად. საჭიროა ჯერ მოისპოს ეს უკმაყოფილება, საჭიროა დაახლოვება იდეურად და მერმეთ შეიძლება ასეთი კომისიებზე და შეერთებულ მუშაობაზე ლაპარაკი.

ვრცელი და შინაარსიანი სიტყვით გამოდის ამხ. ს. ორჯონიძე.

— თუ გულწრფელად არ იქმნა ნათქვამი ის, რაც გულში აქვთ ამხანაგებს, ისე ძნელია ჩვენ შორის საერთო ენის გამოხატვა, არ ექნება ადვილი ნდობას. როცა ბერეტაშვილი ამბობს ჩვენთან მონახეთ საერთო ენაო, უკაცრაოდ, ასეთ ენას მენშევიკებთან ვერც ენახათ და არც ვეძებთ. მენშევიკების პოლიტიკა არ იყო სწორი არა მარტო ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, არამედ წინეთაც. ვინც ასე აყენებს კითხვას, თითქო მხოლოდ ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არ იყო სწორი მენშევიკების პოლიტიკა, ის არაა სწორი, ის ისევე ძველ გზაზე სდგას, ლ. ბერეტაშვილი ძველი მენშევიკია და დღესაც მენშევიკად რჩება. ის ამბობს მხოლოდ ერთს: თუ ფაშისტებთან იქნება ბრძოლა, მე თქვენს მხარეზე ვიქნებიო. ეს ისედაც ცხადია, თუმცა თქვენი ბელადები მენშევიკები დღეს საზღვარგარეთ რეაქციისთან ერთად არიან. თუ თქვენ გაერთიანდით იმ დიდ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებს ორ ქვეყანას შორის, მაშინ თქვენ დადგებით მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე და არა დემოკრატიის.

ლენინიზმისა და მარქსიზმის შესასწავლად შეიძლება მოეწყოს საზოგადოება. ეს დასაშვებია, მაგრამ არაა დასაშვები მეორე კომისიის შედგენა. თუ ჩვენს კულტურულ მუშაობაში არის დეფექტები, მობრძანდით და იმუშავეთ აქ თქვენც, მოგვეცით ხალხი, ერთად გამოვასწოროთ ეს შეცდომები. ცალკე ორგანიზაციის შექმნა კი მიუღებელია ჩვენთვის.

რაც შეეხება ს. დევდარიანს მას უსურვებთ გადაეფასებოთ მენშევიზმის წარსული პოლიტიკაც ისე, როგორც ეს მან ქნა ამ უკანასკნელი სამი წლის შესახებ.

კითხვა უნდა დავდგას ასე: რა საშუალებით შეუძლია პროლეტარიატს თავისი მიზნის განხორციელება—დიქტატურით თუ დემოკრატიის გზით.

თუ აიღებთ რუსეთის და გერმანიის მაგალითებს, თქვენ დაინახავთ, რომ მხოლოდ ერთად ერთი გზაა პროლეტარიატისთვის თავის

მიზნების განსახორციელებლად. ესაა პროლეტარიატის დიქტატურა.

აქ აშკარაა ერთი: არიან ამხანაგები, რომელთაც გულთი უნდათ ჩვენთან ერთად მუშაობა. არიან ისეთებიც, რომლებიც არ არიან გულწრფელნი. ჩვენ ბედნიერები ვიქნებით მაშინ, როცა ამ ტიტანიურ ბრძოლას პროლეტარიატისას შეიგნებს ყველა მუშა და ჩვენს ციხეებში არც ერთი მუშა არ იქნება.

ამხ. ს. ორჯონიძის სიტყვის შემდეგ შემოდის წინადადება მოისპოს კამათი. წინადადება მიღებულ იქნა. ს. დევდარიანის უკანასკნელ სიტყვის შემდეგ ამხ. ბ. ლომინაძეს შემოაქვს წინადადება, რომ კულტურული მუშაობისთვის ცალკე კომისიის არჩევა უარყოფილ იქნეს.

მიღებულ იქნას წინადადება, რომ ყოველ მენშევიკებს მიეცეთ საშუალება გამოერკვენ თეორიულ და პრაქტიკულ კითხვებში, შეუდგენ შესწავლას მარქსიზმისა და ლენინიზმის, რისთვისაც მოეწყოს რაიმე ორგანიზაცია, საზოგადოება. მაგრამ თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს საზოგადოება, დარჩეს ჯერჯერობით ლიათ და ნურავითარ კომისიას ამ კრებაზე ნუ ავიარებთ. ან საქმის მოგვარება მიენდოს შენაფერ ორგანიზაციებს.

წინადადება მიღებულ იქნა თითქმის ერთხმად.

№

## ქართულ ხელოვნებას კავშირი საზრუნავით.

რუსეთის დებეშაბა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს საფრანგეთში მყოფ ქართველ ხელოვნება კავშირის თავმჯდომარემ, ნიკოლოზ მიწისვილიმ განაცხადა: „პარიზში დაარსებული ორგანიზაცია ემსახურება კულტურულ მიზნებს. ევროპაში ბევრია ქართველი ხელოვნების და მეცნიერების წარმომადგენლები. მათი გაერთიანება, თვითიული მათგანის მუშაობის წარმართვა უსათუოდ ხალხის სამსახურის გზით—ი კავშირის მიზანი აქიდან გამომდინარეობს საკითხი საბჭოთა ხელისუფლებისადმი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ. განსაკუთრებით დღეს, საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავზე.“

ჩვენი დამოკიდებულება საკითხისადმი ცნობილია აგრეთვე, რომ საქართველომ არ იცის კულტურის ემიგრაცია: ქართული ხელოვნების და მეცნიერების არც ერთ წარმომადგენელს არ მიუტოვებია თავისი ქვეყანა ყოფილ მთავრობის გაქცევის დროს. კულტურული საქართველო დარჩა თავის პოსტზე და საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად გადაიტანა ახალ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის მთელი სიმძიმე, ჩვენ უნდა ვიყოთ მათთან, ვინც სდგას ქართველი ხალხის და ჩვენი კულტურის ინტერესების სადარჯოზე.

ახალ საქართველოსთან იდეური კავშირის დამყარება არის ჩვენი კავშირის უპირველესი ამოცანა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების ცნობის და მასთან თანამშრომლობის ღონისძიების გარშემო კავშირი გაერთიანებს საქართველოს ემიგრაციის ყველა ოცხალ ძალებს და ითამაშებს დიდ როლს ერთიან კულტურულ ფრონტის შექმნის საქმეში.

ქართული ხელოვნების და მეცნიერების გაერთიანებული გამოსვლა ტფილისში ლენინის დაკრძალვის დღეს და აგრეთვე პოეტ მაყაშვილის და სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ჯავახიშვილის განცხადება ჩვენ მიევანჩია საბჭოთა ხელისუფლების გარშემო კულტურულ გაერთიანების ნიშნად.

ამის საჭიროება განსაკუთრებით მწვავეა დღეს საქართველოს გასაბჭოების მეოთხე წლის დასაწყისში.

გზობით აცნობით ჩვენ მეგობრებს და საქართველოს ყველა მოქალაქეებს, რომ ზოგიერთი პირების იმედი ევროპაზე და ყოფილ მთავრობაზე ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ამ ილიუზიას თავი უნდა დაეანებოთ ერთხელ და სამუდამოდ. საბჭოთა აღმშენებლობის შეფერხება ან შეწყვეტა იმ პირთა ჯგუფის მხრივ, რომლებმაც შეურაცხველ საქართველოს იდეა და რომლებიც ისტორიამ გარიყა,—დანაშაული და სამარცხვინოა. „ეროვნულ კულტურის პოზიციებზე“—ამ ღონისძიებას, რომელიც მე ორი წლის წინად ტფილისში წამოვაყენე, ვიმეორებ დღეს, პარიზში კიდევ მეტი დატენებით და დაბეჯითებით. ევროპამ დამარწმუნა მე, რომ ეს პოზიციები არასოდეს არ იქნებიან ისე მტკიცენი, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროს.“

## პოლიტიკური მიმოხილვა

წარსულ კვირაში საერთაშორისო პოლიტიკურ სფეროში დიდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები არ მომხდარა.

საფრანგეთში პარლამენტის სხდომაზე გამოვიდა ბოროტი მოხუცი—პუანკარე-ომი და განაცხადა:

„ყოველ ქვეყანას და აგრეთვე რუსეთსაც აქვს უფლება აირჩიოს მთავრობა თავის სურვილის მიხედვით. პასუხად ბერტონის შეკითხვისა პუანკარემ განაცხადა, რომ ის პირადად არასოდეს არ სცნობდა ვრანგელს.“

პუანკარემ აღნიშნა, რომ ის იბრძვის კომუნისტების წინააღმდეგ და ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფო მოსამსახურეებს არ აქვთ გაფიცვის უფლება და რომ ყველა გაფიცული მოხელე იქნება დათხოვნილი სამსახურიდან. პუანკარემ განიმეორა, რომ რურის ევაკუაცია მოსდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გერმანია საესებით შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

თავისი სიტყვა პუანკარემ დაამთავრა თავისი ძველი ფორმულით: „არც რეაქცია და არც რევოლუცია“.

საფრანგეთის მთელი პრესა გამოსთქვაშს სასოწარკვეთილებას და აღნიშნავს, რომ პუანკარეს სიტყვაში არ არის საშინაო პოლიტიკის პროგრამა.

პუანკარეს ეს ფრაზა ძალიან მოგვაგონებს ერთ ნაცნობ ფრაზას: „არც აქეთ, არც იქეთ“-ს საბჭოთა ქვეყანა კი ამ ფრაზას: „არც რეაქცია და არც რევოლუციას უპირდაპირებს: „ან რეაქცია, ან რევოლუცია“. შუა გზა მოგონილია და რომც არსებობდეს ის, პუანკარეს გარდა სხვა პატრონიც ჰყავს.

საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის პროცესი გრძელდებოდა.

წარსულ კვირაში. არის მთელი რიგი პატარა სახელმწიფოებისა, რომელნიც ფიქრობენ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას. ზოგ მგაითან მაგ. შვეიცია და სხვა, უკვე სწარმოებს წინასწარი მოლაპარაკება. ზოგი კი უტყდას ღიად სახელმწიფოს ხელის დაქვეყნებას. ასეთ მდგომარეობაშია სხვათა შორის ჩეხოსლოვაკია. ეს ის სახელმწიფოა, რომელიც პოლონეთის სამაგიეროდ გაიჩინა, როგორც აგენტი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, საფრანგეთის დაპყრობისათვის.

ამას წინათ ვაზუტებში იყო ცნობა, რომლის მიხედვით საფრანგეთი ურჩევდა ჩეხოსლოვაკიას იურიდიულად ეცნო საბჭოთა კავშირი და შემდეგ ის გამოსულიყო პოლიტიკურ მაქანკლის როლში. ჯერ-ჯერობით ჩეხოსლოვაკია თავს იკავებს.

გაზ. „ლიუდოვი ნოვინე“-ს და „ფოსიშე ცაბლუნგ“-ის კორესპონდენტთან საუბარის დროს, საბჭოთა კავშირის სრულფუნქციონირებას წარმომადგენელმა იურენემ განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკია საბჭოთა კავშირზე ნაკლებად არ არის დანიტერესებული ურთიერთ ცნობით, ჩეხოსლოვაკიის მიმართ კავშირის პრესის დამოკიდებულების შეცვლა არის პრაგის ზოგიერთ პასუხისმგებელ მოღვაწეების გამოსვლების შედეგი. ჩეხოსლოვაკიის მიერ საბჭოთა კავშირის წინაშე კონტრბუტუციის გადახდის საკითხის დასამკვლავად განაცხადა საბჭოთა კავშირის ერებში მწარე მოაგონებები იმ ზარალზე, რომელიც მოაყენეს ჩეხოსლოვაკიის რაზმებმა ციმბირში.

ზარალის ანაზღაურების საკითხის დასმა ჩეხოსლოვაკიის მიერ ნიშნავს უარის თქმას საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის განახლების აზრზე.

როგორც ვიცით ინგლისმა იურიდიულად იცნო საბჭოთა კავშირი, მაგრამ ყველა საკითხები არ ყოფილა ამ ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკების საშუალებით გადაჭრილი. და აი აპრილის პირველიდან იწყება რუსეთ-ინგლისის წარმომადგენლების კონფერენცია. ძნელია დღეს ვადაქრით ამ კონფერენციაზე რამის თქმა. შეიძლება კონფერენციამ ვერ მიაღწიოს შეთანხმებას და დაიშალოს, მაგრამ ადვილად საფიქრებელია ისიც, რომ შეთანხმება მიღწეული იქნება მთავარ პოლიტიკურ და ეკონომიურ კითხვებში. ყოველ შემთხვევაში მთავარი საკითხი ამ კონფერენციის ამჟამინდელი კულისებში დან უსათუოდ ბაქოს ნავთის საკითხი იქნება. ინგლისის დღევანდელი მთავრობა არის ღირსეული მემკვიდრე კონსერვატორებისა და, ცხადია, მათ პოლიტიკას აგრძელებენ უმთა-

ერეს მუხლქსში. ამიტომ ბაქოს ნავთის საკითხი, რომელიც იყო აგრეთვე სარჩული და მიზეზი გენუის კონფერენციის ჩაშლისა, აქაც გადამწყვეტ როლს ითამაშებს.

\* \*

ბესარაბიის მრავალრიცხოვან მცხოვრებმა, რომლებიც ტირასპოლში იმყოფებიან, როცა გაიგეს რუსეთ-რუმინეთის მომავალი კონფერენციის შესახებ, გამოვიდნენ ქუჩაში, რომ გამოეცხადებოდათ პროტესტი რუმინეთის მიერ ბესარაბიის დაპყრობის გამო. თეატრში გაიმართა ბესარაბიის მცხოვრებთა მრავალრიცხოვანი კრება. კრებაზე გამოვიდნენ მუშები და გლეხები, რომლებიც ხატავდნენ რუმინეთის ადმინისტრაციის მხეცურია მოპყრობის სუთათებს და მოიხობდნენ ბესარაბიის შეერთების საბჭოთა კავშირთან.

კრებამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: „მეშვიდე წელიწადია სისხლიდან იტლება ბესარაბიის მშრომელი ხალხი, ის სულს ღაფავს რუმინელ დამპყრობლების მონობაში, დღე, მიღება ქვეყანამ დაინახოს მთელი ქრილობები. ჩვენ წყევალ-კრულვას ვუთვლით რუმინელ ჯალათებს, რომლებიც აობრებენ ჩვენს რჯახებს. ჩვენ მოუწოდებთ საერთაშორისო პროლეტარიატს მხარი დაუჭიროს სამართლიან მოთხოვნებებს ბესარაბიის რუმინეთის მონობისაგან განათავისუფლების და მოლდავიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მოწყობის შესახებ.“

ჩვენ ვაცხადებთ, რომ რუმინეთის დელეგაციის წევრები ვინც კონფერენციაზე, რომლებიც თავის თავს ბესარაბიის მცხოვრებთა წარმადგენლებს უწოდებენ, ფაქტიურად რუმინელ ოკუპანტების წარმომადგენლები არიან. ვთხოვთ საბჭოთა კავშირის ცაკს მოითხოვოს კონფერენციაზე ბესარაბიის მცხოვრებთა ნამდვილ წარმომადგენლების დასწრება.“

უკრაინის სახალხო კომისარათა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ჩუბარმა რუსეთ-რუმინეთის კონფერენციის შესახებ განაცხადა: „ჩვენ მივალწვიეთ იმას, რომ საკითხი ბესარაბიის შესახებ დაისმება განსახილველად არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ რუმინეთის მიერაც. ჩვენ მივალწვიეთ იმას, რომ რუმინეთი გაიყვანს ბესარაბიიდან თავის ჯარებს და შესაძლებლობას მისცემს მცხოვრებთ თავისუფლად გამოსთქვან თავიის ნებისყოფა. პლენციის შედეგებში ჩვენ ექვი არ გვეპარება, ვინაიდან ბესარაბიის და ბუკოვინის მუშები და გლეხები სულს ღაფავენ რუმინეთის მემამულეების უღელქმეშ-“

\* \*

„როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს პარიზიდან ჩამოსულმა საფრანგეთის კომპარტიის ც. კ. წევრმა ამხ. დიუნუამ აღნიშნა, რომ საფრანგეთის თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას ახასიათებს ფრანკის სრული კაპიტულიაცია ამერიკული დოლარის და ინგლისურ სტრელინგის წინაშე. ფრანკის დაცემის გამო საფრანგეთში ყველა გადასახადები გადიდებულია 20 პროც.-ით.

კომუნისტები, რომლებიც, რასაკვირველია, მონაწილეობას იღებენ მემარცხენე ბლოკში, არჩევნებში დამოუკიდებლათ გამოვიდნენ და შე-

ეცდებიან არჩევნებს კლასობრივი ბრძოლის ხასიათი მისცენ.

საფრანგეთში ახლა არსებული არჩევნების წესის მიხედვით, კომუნისტებს შეუძლიათ იყოლონ მხოლოდ 25-30 კანდიდატი.

პარტიის მდგომარეობა კარგია. მას ვაგნ 600 00-დ ვწევრი, მას ეყოლებოდა მეტი, რომ ახალი წევრების მიღება სურდეს.

დიუნუამ განაცხადა, რომ თუ მემარცხენე ბლოკმა გაიმარჯვა არჩევნებში, საბჭოთა კავშირის ცნობა დაუყოვნებლივ მოხდება. ათუ გაიმარჯვა მემარჯვენე ბლოკმა და ის განთავისუფლებდა ყველაზე რეაქციონერ ელემენტებისაგან (რახეც ოცნებობს პუანკარე), რუსეთის იცნობენ, თუმცა დაგვიანებით. ვერაფერ ვერ გაუწევს წინააღმდეგობას იმ ეკონომიურ მიმდინარეობას, რომელიც იძულებულს ხდის საფრანგეთი იცნობს საბჭოთა კავშირი.

\* \*

მოსკოვში გამოქვეყნდა დეკრეტი საბჭოთა ფულის ნიშნების გამოსყიდვის შესახებ ლ. კამენევის ხელის მოწერით. აი ეს დეკრეტი.

ვინაიდან მტკიცე ვალიუტა თანდათანობით შესაფერ ადვილს იჭერს ფულის ბრუნვაში და აგრეთვე იმისათვის, რომ სრულიად მოელოს ბოლო იმ დანაკლისს, რომელსაც განიცდიდა მშრომელი მასები და სახალხო მფურნეობა საბჭოთა ფულის ნიშნების მიერ ღირებულების დაკარგვის გამო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისარათა საბჭო საბჭოთა კავშირის ცაკის და სახალხო კომისარათა საჭოს 1924 წლის 14 თებერვლის დადგენილების მეოთხე მუხლის თანახმად საბჭოთა ფულის ნიშნების, — რომელთა ღირებულება არ არის აღნიშნული მტკიცე ვალიუტაში, — ბეჭედის შეწყვეტის შესახებ, — ადგენს 1. დაიწყოს ხმარებაში საბჭოთა ფულის ნიშნების მოსპობა, რომელთა ღირებულება არ არის აღნიშნული მტკიცე ვალიუტით, მათი მტკიცე კურსით გამოსყიდვის საშუალებით; 2. აღნიშნულ საბჭოთა ფულის ნიშნების მტკიცე კურსი უდრის 1924 წლის 10 მარტიდან ერთს მანეთს ოქროთი 1923 წლის ფულის ნიშნების 50,000 მანეთში. ამისდამიხედვით განისაზღვროს 1923 წლის საბჭოთა ფულის ნიშნების მტკიცე პარიტეტი: 1923 წლის ფულის ნიშნები—500 მანეთი უდრის ერთ კაპეკს; 1000 მან. 2 კაპ. 5000 მ. 10 კაპ., 10000 მ. 20 კაპ. 15000 მ. 30 კა., 25000 მ. 50 კაპ. 6 მარტში დარჩენილი 1923 წლის ნიმუშის ფულის ნიშნების მიღება სავალდებულოა მისაღებად სახელმწიფო, კოოპერატული და კერძო დაწესებულების, და წარმოების და პირების მიერ ამა დადგენილების მიერე მუხლში აღნიშნულ კურსის მიხედვით 10 აპრილამდე.

3. 1923 წლის ნიმუშის ფულის ნიშნების მიღება და აგრეთვე მათი ვაცვლა მტკიცე ვალიუტზე ფინსახკომის და სახელმწიფო ბანკის სალაროების მიერ უნდა სწარმოებდეს 1924 წლის 30 აპრილამდე.

შენიშვნა: საბჭოთა ფულის ნიშნების კუპონები 500 მანეთზე ნაკლები ღირებულების გამოსაცვლელად, თუ მათი საერთო ჯამი უდრის არა ნაკლებ 500 მანეთისა 1923 წლის ნიმუშის ფულის ნიშნებით.


4. შეწყვეტეს 1924 წლის 25 მარტიდან პირველ მუხლში აღნიშნულ საბჭოთა ფულის ნიშნების გამოშვება ფინანსთა სახალხო კომისარიატის და სახელმწიფო ბანკის საღაროდან.

მოსკოვის ბირჟაზე ოქროს და უცხოეთის ვალუტის კურსი სწრაფად ეცემა. მარტის პირველი რიცხვებიდან კურსის დაკემა უდრის 15 პროც.-ს.

საბითუმო, მანიფაქტურის და ლითონის ბაზრებზე მოლოდინის განწყობილება; ნედლი მისალის და სურსათის ბაზარზე—გაცხოველებულია. საწვრიმანო ვაჭრობაში დიდი ცეცხოველობაა. შიავარ მყიდველებათ არიან გლახები. მოსკოვის კერძო ბაზრები უკლებენ ფასებს და უფარდებენ მათ სახელმწიფო და კოოპერატიულ საწვრიმანო ფასებს. ბევრს ბაზრებზე გაიხსნა და სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების კიოსკები.

„ცენტროსოიუზმა“ დასწია ფასები შუშაზე და შუშის ნაწარმოებზე დაახლოვებით 15 პროც.-დღე.

შირგანს საქმეთა სახ. კომისარიატმა ფულის რეფორმის გამო წამოაყენა საკითხი კომუნალურ ტარიფების შემცირების შესახებ. ტარიფები უნდა დაშვარდეს თვითღირებულების ნიადაღზე 10 პროც.-ის მიმატებით.



## მარტის 10

10 მარტს პლენარის თეატრის დარბაზში დაიწყო კათალიკოს ამბროსის და მისი თანამშრომლების საჯარო გასამართლება. დამცველებათ გამოვიდნენ: კ. ნინიძე, ი. ბარათაშვილი, ს. დადიანი, გელაზაროვი, ა. ყანჩელი, მღვდლოივი, პ. ჭავთარაძე და ვექ. გუნცაძე. სასამართლოს აუარებელი ხალხი აწყდება.

13 მარტს პლენარის თეატრის წინ ქუჩაში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ მოვიდნენ დეპოს და მთავარი სახელისნოს მუშები და სასამართლოს შეუგზანენ დღე-გაცემა. დელეგაციამ დემონსტრაციის სახელით მოითხოვა „უწმინდესი“ კონტრ-რევოლიუციის სასტიკი დასჯა.

მოტე ნიკოლოზ მიწიშვილს განუცხადებია პარიზში რუსეთის დეპუტათა სააგენტოს თანამშ. საუბრის დროს, რომ ევროპის და ყოფილ მთავრობის იმედი საესებით უსაფუძვლოა.

9 მარტს რუსთაველის თეატრში დიდის ზემოთ გადახდილ იქნა მწერალ ქალის ანასტასია ხოშტარია ერისთავის 35 წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის იუბილე.

## სხვა და სხვა ამბები:

საბერძნეთში იურიდიულად იცნო საბჭოთა კავშირი.

ამხ. რაკოვსკი აირჩიეს რუსეთ-ინგლისის სავაჭრო პალატის საპატიო თავმჯდომარედ.

საბჭოთა კავშირი მოლაპარაკების აწარმოებს შვეციის მთავრობასთან იურიდიულად ცნობის ვარშემო.

იტალიაში გაემგზავრა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში იუ. რენევი. რუსეთის საელჩოს შენობა იტალიაში გადაეცა საბჭოთა წარმომადგენლობას.

საბჭოთა კავშირი მონაწილეობას იღებს ვენის გამოფენაზე.

რუსეთ-ინგლისის კონტერენცია გაიხსნება 1 აპრილს ლონდონში ჯერ განუხილველ ეკონომიური და პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად. ამ საკითხების განხილვას დასჭირდება რამოდენიმე კვირა.

ანგორაში გაემგზავრა რუსეთ-ალმოსავლეთის სავაჭრო დელეგაცია. დელეგაციას მიაქვს საბჭოთა მრეწველობის საგნების ნიმუშები, წონით 500 ფუთი.

ბესარაბიის მცხოვრებნი მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან გაერთიანებას. იმართება ამ მიზნით კრებები და დემონსტრაციები. გამოაქვთ პროტესტი რუმინეთის წინააღმდეგ.

ახლო-მომავალში დაიწყება მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ურთიერთთან ნორმალური დამოკიდებულების აღდგენის მიზნით.

მოსკოვის და ტფილისის ბირჟაზე ოქ-

როს და უცხო ვალუტის კურსი დაეცა ფულის რეფორმის გამო.

შრომის და თავდაცვის საბჭომ გამოაქვეყნა დეკრეტი საბჭოთა ფულის ნიშნების დაუყონებლივ გამოსყიდვის შესახებ. გამოსყიდვა უნდა მოხდეს 25 აპრილიდან.


ახალი ფულის ტრიალში გამოსვლის გამო საბჭოთა რუსეთში 20—30% დაიწია საქონლის ფასებმა.

საბჭოთა კავშირის საფინანსო კომისარიატის მიერ დღემდე გამოშვებულია 8 მილიონი მანეთი ვერცხლით და 40 მილიონი მან. სახაზინო ბილეთებით.

საფრანგეთში თანდათან ეცემა ფრანკის კურსი. ამის გამო იქ მდგომარეობა კრიტიკულია.

ფრანგ მრეწველები ალაპარაკდნენ საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ. მოსკოვში ჩავიდა ფრანგ მრეწველების წარმომადგენელი ლეონ გელი.

ინგლისური გაზეთების ცნობით ინგლისის ელჩად მოსკოვში დაინიშნება ხოჯსონი.



# წერილები პროვინციიდან

## მუშას.

დაისერა ცის კიდური, მოელვარე წითელ ზოლით; დედა მიწაც აბიბინდა, შემოსილი მწვანე მოლით. ამეტყველდა არე მარე შრომის შვილის მოსალხენად და ბუნებაც იმოსება, ჩაერულების დასაცკვლიდ. მაშ, მშრომელო, გაიღვიძე! მიმოავლე თვალი არეს და საშველად გაუწოდე ხელი შენებრ გულ მუხარეს. გწამდეს ახლო მომავალი შენ გიმღერებს შეგების ჰანგსა.. და მგოსანიც შენ სალხენად ააკენებებს თავის ჩანგსა. და შენც გმართებს, ჩემო მუშაე! მარდალ დაპკრა ურო გრდემლსა, გამოსქედო სამართალი, მხარი მისცე მართლის მოქმელსა. გწამდეს შენეა შენ ხელთ არის შენვე შექმნი მომავალსა. ახალ მხრისკენ გაიკაფავე ჯერ უფლები მასკენ გზასა. მაგრამ ეს გზა ნარ-ეკალით კიდევ არის დაფარული, და წინ სგლასაც ხელს არ უწყობს მშრომელთ შორის სიყვარული. შენც კი ამჩნევ, რომ სოფელი ქალაქს ძლიერ ჩამოშორდა და ვინ იცის, რას გვიქადის! საქმე თუ არ გამოსწორდა. მაშ, მშრომელო ქალაქისავ! ყურადღება მეტი სოფელს მშიერ, ტიტველს და დაცემულს დღეს დღეობით მასში მყოფელს.

## აღფენვალობა გურიში.

გურიის ყველა პატარა ქალაქებში და სოფლებშიაც გზების გაყვანის მუშაობა თითქმის დამთავრებული არის. ამ ჭამათ გლეხობა სასწავლებლების შენობებს აახლებს, ზოგან კი ხის შენობებს სრულიად სპობს და მის ადგილას ქვის შენობებს აშენებს. გურიის გლეხობა საერთოთ ძალიან დაწინაურებულია კულტურულ და აღმშენებლობის საქმეებში, იქაური გლეხობა საქმიანი ხალხია თუ არ აკეთებს თავის საქმეს, აკეთებს საზოგადო საქმეს; გაზაფხულის თვეებში თავისთვის მუშაობს, ზაფხულის თვეებში საზოგადო საქმეებს აკეთებს, ზამთრის თვეებს ისევ საზოგადო საქმეებს ახმარს და ასე ამნაირათ შეუწყვეტილი მუშაობა გრძელდება წლიდან-წლამდის. სწავლას ხომ გურულები საქართველო კუთხეზე უფრო მისდევენ. მთავრობაც ყველაფერ ამას დიდ ანგარიშს უწყებს. ზოგიერთ სოფლებში ოზურგეთის მაზრისა, სადაც უკვე ყოველ-გვარი მუშაობა დამთავრებულია, შედგენილია გეგმები თუ სად უნდა დაიდგას ელექტრონის სადგურები, ელექტრონის სადგურებს ხომ უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხის სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების განვითარებისათვის. ეს აქაურ გლეხობის საქმეს წინ წასწევს.

მ. ტატიშვილი.

## რუინის თემი.

1924 წ. 29 თებერვალს შესდგა რუინის თემის ყოფილი მენშევიკების კრება, დაესწრ-

სოფლები.

ენ: ვასილი თოდაძე, სარდიონ არავიაშვილი, ვასილი რახვიაშვილი. დავით ჩიკრიძე, გიორგი ქარქუხაშვილი, პავლე გიყაშვილი, ვანო ლომიძე, ზაქარია გიყაშვილი. მახრიდან დაესწრნ სამაზრო საინიციატივო ბიუროს წევრი ნესტორ ქერეკეშვილი კრების თავჯმდომარეთ იქნა არჩეული ვასილ თოდაძე, მდივნათ სარდიონ არავიაშვილი.

კრებამ მოისმინა მოხსენება ბოლშევიზმის და ჩენშევიზმის შესახებ და მიიღო შემდეგი დადგენილება:

მოვისმინეთ რა ამხანაგი ნესტორ ქერეკეშვილის მოხსენება მენშევიზმს და ბოლშევიზმს შორის განსხვავების შესახებ, ჩვენ რუისის თემის ყოფილი მენშევიკები ერთხელ და სამუდამოთ ვგმობთ მენშევიზმის ხახს, როგორც ტაქტიკაში, აგრეთვე პოლიტიკაში იმ შეგნებით, რომ ჩვენ ნათლათ დავინახეთ საბჭოთა ხელისუფლების გიგანტიური მუშაობა ამშენებლობის დარგში, ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ეს არის ბრძოლა მუშათა მომავალი დიადი მიზნების წინააღმდეგ. ამიტომ ესდგებით მესამე კომინტერნის დროშის ქვეშ და ვიმუშავებთ ჩვენი დაყოვილი ხელებით საბჭოთა-ძალა-უფლების განსამტკიცებლათ. ვაუმარჯოს საერთაშორისო საბჭოებს, ვაუმარჯოს მუშათა მთლიან ფრონტს. ძირს ფაშიზმი.

**კრების თავმჯდომარე ვ. თოდაძე.**

**ს. ზინდისი.**

1924. I მარტს გორის მაზრა სოფ. შინდისში მოხდა კრება ყოფილ მენშევიკების; კრებას დაესწრო ხალხი გარშემო სოფლები დანაც; (ყუბუყული, ლეთები, საქაშეთი). კრების თავმჯდომარეთ ერთხმად იყო არჩეული აშხ. ნ. ქერეკეშვილი. მომხსენებლად გამოვიდა პ. ფორმძე, რომელიც შეეხო მენშევიკების ლიკვიდაციის საკითხს; ჩვენს თვალწინ ხდებდა დიდი ამბავი სთქვა მომხსენებელმა; მენშევიკების პარტია ირღვევა: ეს რამოდენიმე თვეა წევრები ასობით გამოდიან პარტიიდან და დგებიან კომუნისტურ პლატფორმაზე; თითქმის 16-17 ათასი ყოფილი მენშევიკი გაერთიანდა თავის მოძმე ბოლშევიკებთან დიდს რევოლუციონურ საქმიანობაში; საკაცობრიო საქმიანობა ამ ორმა მიმართულობის ხალხმა ერთად დაიწყეს; მაგრამ 1903 წ. მათ შორის განხეთქილება; ამის შემდეგ დატრიალდა ამ ორ მოძმე პარტიას შორის დიდი უზბედურობა, დაიღვრა დიდი სისხლი, რომელიც ძვირად დაუჯდა ისევ მუშა ხალხს; ისტორიამ ნათელყო ამ უმაგალითო ამბავში ბოლშევიკების გამარჯვება. საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებამ აუცილებელყო პროლეტარიატის დიქტატურის საქმიანობა რევოლუციის გამარჯვებისთვის; ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ერის მშრომელი ხალხიც ამ საერთო მსვლელობას დაუკავშირდა; ამის დაუნახაობა დიდი სიჯიუტეა, რომელიც დიდს ზიანს აყენებს, როგორც ჩვენში, ისე მთელს რუსეთში მუშურ-გლეხურ მთავრობის საქმიანობას; ამ დიდ საქმეს სათავეში უდგია ბოლშევიკური პარტია; ვისაც უნდა პირნათ-

ლად შეასრულოს თავისი რევოლუციონური ვალი, მათთან უნდა იყეს და არა მათ წინააღმდეგ; მან უნდა გულწრფელად და ერთგულად ითანამშრომლოს მათთან ყოველ მხრივ, როგორც რევოლუციის დაცვაში, ისე აღმშენებლობითი მუშაობაში; ამ გზისკენ მოვიწოდებთ ყველას. გაათავა მომხსენებელმა.

მეორე სიტყვა წარმოსთქვა აშხ. **ომენერი** მან დაასურათა ბოლშევიკ მენშევიკების უთანხმოების მიზეზები; მსოფლიო ომში მეორე ინტერნაციონალის მოღალატური მონაწილეობა; რუსეთის რევოლუციის გამარჯვება; ლენინის წინასწარმეტყველება ინგლისის ამბებზე; მომავალ რევოლუციის მატარებელი მესამე ინტერნაციონალი; იგია დამცველი აღმოსავლეთ კრებისაც; ბოლოს მოუწოდა ყოფ. მენშევიკებს თანამშრომლობისკენ.

აშხ. მკისძემაც მოუხალატური აღნიშნა ის დრო, როცა უთანხმოება იყო ამ ორ მიმართულების შორის. ამის მიზეზი იყო მენშევიკების შემცდარი გზა, რომელიც მათ ცოტა ადრე უნდა დაენახათ; მანაც მოუწოდა ყოფ. მენშევიკებს მათთან ერთსულოვნათ მუშაობისკენ.

საგრძობელი იყო შემდეგ ორატორების გამოსვლა. ზოგმა მეტის მეტი სიხარულით ქუდებოც ალაპარაკა ნიშნად შეფიცვისა და ერთსულოვნობისა; ჩ. თაგულიშვილი პ. გარსევანიშვილი ერ. ჩხეიძე და სხვები მაგარი სიმტკიცით ადასტურებდნენ ბოლშევიკებთან ერთად სიკვდილის, ერთად გამარჯვების გზას.

თავმჯდომარემ აღნიშნა ძლიერი შთაბეჭდილება ამ ორი მოძმეების ერთად შეხვედრისა; მტერსაც კი სინანულის ცრემლები წამოუვა ამ დამბოძლების სცენის დანახავსო; მაგრამ, სამწუხაროდ, არიან კიდევ პირნი, რომელნიც ჯეროვანად ვერ აფასებენ ამ მოვლენებს და სდგანან ჯიუტობის გზაზე.

კრებაზე გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია: ჩვენ ყოფილი მენშევიკები შინდისის რაიონის შევიკრიბენით რა რაიონის სოფლებიდან რიცხვით 20 კაცი, ვეჭონიეთ მსჯელობა მენშევიკების და ბოლშევიკების ტაქტიკისა დაბირისპირებაზე, კვლავ გავიმორეთ და გავიზარეთ. სრულიად შეგნებით ყოფილ. მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობის დადგენილებზე; გავითვალისწინეთ რა უპირატესობა ბოლშევიკურ ტაქტიკისა და მისი გამართლება ისტორიის მიერ ჩვენ დავადგინეთ: სრულიად შეგნებულად ერთგულად და ერთსულოვნად შევეუერთდეთ საბჭოთა ხელისუფლების ყველა მოქმედ ორგანოებს და მათთან ერთად მთელის ენერგიით ვაწარმოვით ყოველ გვარი აღმშენებლობითი მუშაობა. კოოპერაცია, შკოლა, მეურნეობა, საურთიერთო დამხმარე სასოფლო კასები და სხვა და სხვა. ჩვენ უუერთდებით ჩვენ ამხანაგებს მუშურავლებებს და მათთან ერთად ვებრძვით ყოველგვარს შინაურ და გარეშე მტრებს რა სახითაც იქნება იგი მოვლენილი ფაშიზმი, ავანტიურა და სხვა. ჩვენ ურავყოფით რა მეორე ინტერნაციონალის ორჭოფულ დამლუპველს მოქმედებას ვდგებით მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ და მედგრად დავიცავთ მუშურ-გლეხურ რევოლუციის ყოველგვარ მონაპოვართ.

დასასრულს კრებამ აირჩია სამი აშხ.: პლატ. გარსევანიშვილი გ. თავეციშვილი და გრ. ჩხეიძე. კანდ.: რ. ჩხეიძე, შ. მისსურაძე ამ კომისიამ უნდა ითანამშრომლოს სათემო კომპარტიულ ორგანიზაციასთან ყოველგვარ მუშაობაში და დაეკავშირდეს ამ გვარევე კომისიასთან, როგორც რაიონში ისე, მაზრაში.

**ვის ვუღალატეთ?**

თითქმის ერთი წელი ვადის მის შემდეგ, რაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში დაიწყო რღვევა და ამ ხნის განმავლობაში იგი დიდი სიჩქარით ვითარდებოდა. აღსანიშნავია, რომ ეს რღვევა დაბალ წრეებში—მუშებში და დაიწყო და თავდება მათი ლიდერებშიაც კი...

დღეს ყველასათვის აშკარა ხდება, რომ ყოველივე ეს მოხდა ჩვეის ვაგლენის გარეშე და ამის ობიექტიური პირობებიც მის გარეშე უნდა ვეძიოთ. ამის აუცილებელი მაჩვენებელი არის ისიც, რომ თვით მშრომელი მასა დიდი ხანია ილტვის გაერთიანებულ ფრონტისაკენ და დაქსაცხვა, დანაწილება მათ გულს უკლავდა, სულს უსუთავდა; მან ვარგად იცოდა დაყოფილი და დანაწილებული ის ვერას ვახდებოდა მტრის წინაშე, კარგად იცოდა, რომ შეერთება მშრომელი მასისა მომასწავებელი იქნებოდა მისი გამარჯვებისა და ისიც დავქანა ამ გაერთიანებულ ფრონტისაკენ, რაკი ამ უკანასკნელის შესაფერი ნიადაგი იპოვა. ეს გარემოება, რასაკვირველია, ლახვარს სცემს მოწინააღმდეგე ბანაკს და ვინ იცის, თუ რას არ სჩადის, რას არ ეტანება და აი სწორედ ვაისმა ყოველ ვაზავარედიზე ვაკიცხვა იმ პირებისა, რომლებმაც ხმა აღიმალღეს და ვანაცხადეს სურვილი გაერთიანებული ფრონტის შექმნისა; მონათლეს ისინი მოღალატეებად და სამშობლო ქვეყნის ვამყიდველებად. ამ საზიზარო ცილისწამებას მტერი ფართე ადგილი დავითო სოფლად, სადაც უეციკი სოფლები უფრო ადვილად ებმება პროვოკაციის ქსელში, მაგრამ, ვისაც კი აზროვნების უნარი არ დაქარვავია, მისთვის აშკარაა, რომ ასეთებს სამშობლოსათვის არ უღალატნიათ და არც ფიქრობენ უღალატროდ იღესმე მას, პირიქით, ისინი ცდილობენ შექმნან შეთანხმების ნიადაგზე არეულ-დარღვის და ექსცესების აშორებით, მათ მიერ აღმშენებლობითი დარგში მონაწილეობის მიღებით, მტერი ხელსაყრელი პირობები უზირვე ეხად სამშობლოს მშრომელ მასისათვის და მთელ მშრომელ კაცობრიობისათვის, ვინაიდან დარწმუნებული არიან, რომ ყოველგვარ არეულ-დარეგვას თან მოჰყვება ისევე ზედმევე ხალხის დაცემა, ვანადგურება. მართალია, ჩვენ ვულალატეთ ბურჟუაზიულ სამშობლოს, მის ძველ „ჩინოვნიკობას“, სამღვედლოებას და მემბეშულებს, რომლებსაც იმედი აქვთ თავისი უფლებების აღდგენისა და დიდ იმედებს ამყარებდენ ჩვენს მტრულს დანწყობილებასზე საბჭოთა მთავრობისამდელ და აშკარაა, რომ ცდენოდენ. აი ვის ვუღალატეთ ჩვენ და ვისი საქართველოს ვამყიდველები ვართ! ხშირი იყო, საქართველოს ვასაბჭოების შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში ასეთი მოვლენა, რომ ზემო აღნიშნულ-

ლი პირები ვითომდა სოციალ-დემოკრატების ერთგულნი ეხვეოდა რომელიმე ჩვენგანს და უფრო ჩინად ეხვეოდა: „როდის მოვლენ ჩვენი მხსნელები, როგორ არის ჩვენი საქმეო“ ყოველივე ეს, რასაკვირველია, ალიბეჭდა თვითველს მშრომელის გულში; მან თვალი გაახილა, მიიხედა-მიიხედა და მოაღებინა თავისი ძმა. დახა, მშრომელმა მონახა მისებრ მშრომელი და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, უნდა შედგებულყოფილ მშრომელი მასა ერთ საერთო მიზნისათვის, უნდა შეექმნა ერთი მთლიანი მშრომელთა კლასი და კიდევ დაეძინა ამ გზით ჩვენი სოციალ-დემოკრატული პარტიის დაბალი ფენები—მშრომელი მასა და კიდევ მათი სულისკვეთების გამოხატველია 25—30 აგვისტო, რომელსაც მშრომელი მასა თავის დღეში არ დაივიწყებს და ისტორიულ დღეთა აღიარებს.

შორს ჩვენგან ჯიუტობა, პირადი შური და კინიანობა, რასაც, თან ჰყვება ყოველგვარი დაცემა-განადგურება ბედშივე ხალხისა.

**სოფლები.**

**„მეტი უხრადლება“ პროკონსივს.**

ამ წერილის სათაური იმიტომ არის ბრჭყალებში, რომ ეს სიტყვები მე არ მეკუთვნის. კიდევ არაფერს ვიტყვი ამის შესახებ, მაგრამ სიჩუმეს სხვაგვარად ჩამომართმევდნ ამხანაგები.

საქმე იმაშია, რომ ჩვენი ჟურნალი თურმე პროვინციებში წამალათაც არ იშოვება“

„ნუ თუ პარტიის 17 ათას წევრს მეტი ყურადღება არ უნდა ჰქონდეს მიქცეული ვის-განაც ჯერ არს?“

„თქვენ რა გიშავთ-ცხოვრებას ფხვადფხვ მისდევთ; ჩვენი კი თითქმის ჭურში ვიყოთ, ისე ფართ პროვინციებში“

„ნუ თუ ყველაფერი ძველი გზის უარყოფით უნდა გათავადეს?“

„ახლა სეთითაც ვადმოსულა ჩვენსკენ და ჩვენი კი მოკლებულნი ვართ მის წერილებს“

„ეს არ არის კარგი. ვფიქრობ ამ საქმის მოგვარება არც ისე ძნელია“

კიდევ ბევრი ამგვარი ამონაწერის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ რა საჭიროა.

პარტიის 17 ათასი წევრი; ამას მიუმატაოთ მასა, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს გარკვეული პოლიტიკური ფიზიანომია და ირიბულად უცქერის არსებულ ხელისუფლებას.

ასე იმიტომ უცქერის, რომ არ ესმის გაერთიანებული მშრომელთა ხმა და დანარცხებული კრება გოდება.

მენშევიკური პარტია იყო მასიური.

საბჭოთა ხელისუფლება ვერდნობა როგორც პროლეტარიატს, ისე გლეხობას-მასას—და უნდა ხდებოდეს ამათთვის 15-30 აგვისტოს აქტის გაცემა. არ კმარა მარტო უარყოფა.

საჭიროა ფსიქოლოგიურად ამ უარყოფის შეგნება და დარწმუნება ახალი გზის უკეთესობაში და სისწორეში.

მასების ამ მხრივ უპატრონოთ მიტოვება, პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურობის წყურვილი და სწრაფვა, რომლებიც დღეს ყველა პიროვნებაშია—ბევრს გაღივანს ისევ ძველ სანგრებში, თუ ახალ, უფიქვ გზაზე მას მაჩვენებელი არ ვყოლა.

სეთი დევდარიანის დადგომა წითელი დროშის ქვეშ ეს თავზარდამცემელი მოვლენა მენშევიკური პარტიისათვის—ყველას უნდა ეცნოს და ყველა უნდა დარწმუნდეს ქვეშაირტებაში.

ამიერიდან კიდევ უფრო გამოაშკარავდება სინამდვილე, კიდევ უფრო გაშუქდება საჭირობოტო საკითხები—და ყველა ეს უნდა ხდებოდეს მასების გასაგებად.

„სიმართლის ხმა“ რესპუბლიკის ყველა კუთხეში უნდა ისმოდეს.

ამის მოგვარება არც ისე ძნელია.

თუ კი ექსპედიცია ავრცელებს სხვა ჟურნალ-გაზეთებს, რატომ არ შეუძლია ჩვენი ჟურნალის გავრცელებაც?

ეს საქმე მალე და კარგად უნდა მოგვარდეს.

**„ჭამლეტი“**

**თელავში.**

ამ დღეებში თელავს ეწვიენ ამხ. მამია ორახელაშვილი და ა. რუხაძე.

ამხ. მ. ორახელაშვილმა გააკეთა მოხსენებები: პარტიულ ორგანიზაციის კრებაზე მე-13 კონფერენციის დადგენილებათა შესახებ, შეერთებულ კრებაზე საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობაზე და „მაკრატულზე“.

ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენების შემდეგ ამხ. ა. რუხაძემ გამართა თათბირი თელავის მაზრის ყოფილ მენშევიკებთან. თათბირში ამხ. ა. რუხაძე შეუხო თუ რა ნაბიჯები იქნა გადადგმული აგვისტოს ყრილობის დადგენილებათა რეალიზაციისათვის, რა მიღწევებია ამ მხრით და რამდენადაა დაუახლოვდნ ყოფ. მენშევიკები კომპარტიას.

დასასრულ ამხ. ა. რუხაძემ უსურვა თელავის ამხანაგებს, რომ ისინი ხელი-ხელჩაიკიდებული ყოფილიყვენ კომუნისტურ პარტიასთან და მაგრად იდგენ პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე.

მოხსენების ირგვლივ ილაპარაკეს ამხ. ს. მაჭავარიანმა, დავითიანცმა და სხვებმა, რომლებიც აღნიშნავენ კომპარტიასთან მეტი დაახლოვების და მასთან ხელი-ხელ ჩაიკიდულ მუშაობის საჭიროებას.

კამათის შემდეგ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია გაძლიერება მუშაობის საბჭოთა აღმშენებლობის დარგში, მეტი დაახლოვება ამხ. კომუნისტებთან, მჭიდროთ შეკრება კომპარტიის ორგანიზაციებთან, დახმარება მათი და ბრძოლა ყველა იმ ელემენტებთან, რომლებიც ხელს უშლიან საბჭოთა ხელისუფლებას მუშათა კლასისათვის სასარგებლო მუშაობაში.

X.



**წერილები რედაქციის მიმართ.**

1920 წლიდან საქართველოს სოც.-დემ პარტიის წევრთ ვითვლებოდი. გასაბჭოების შემდეგ თვალყურს ვადევნებდი საბჭოთა ხელისუფლების მოქმედებას და ამ სამი წლის მათი მუშაობამ ღრმით დამარწმუნა, რომ კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება იცავენ მხოლოდ და მხოლოდ მუშათა და გლეხთა ინტერესებს.

1923 წლის 30 აგვისტოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობამ ნათელყო კომუნისტური გზის

სისწორე და მენშევიკურის სიყალბე. ამიტომ მათ გაბედულად ვადადგეს ეს ნაბიჯი: მათ ლიკვიდაცია უყვეს მენშევიკური პარტიას და ერთგულად დადგენ კომუნისტურ რიგებში.

ჩვენი ბელადის სეთი დევდარიანის გამოსვლა კი ამას უფრო ამტკიცებს და ადასტურებს.

რალა დამარჩენია მე; მუშას, რომლის მამა, პაპა, და კიდევ იქით მუდამ გაჭირვებაში და სილატაკეში ყოფილან? ნუ თუ მე უნდა აღმოჩნდნ რევოლუციის მოწინააღმდეგეთა ბანაკში! ეს ხომ სირცხვილია მუშა და გლეხისთვის!..

ერთი სულით, ერთი გულით, გადაპროლად და უკანასკნელად ვსაყვეტ რა ყოველგვარ კავშირს მენშევიკებთან, ვცახლება, რომ მითელის ჩემს არსებით ვდგევარ საბჭოთა პლატფორმაზე და კომუნისტური პარტიის პროგრამაში გხედავ ხსნასა და შევლას.

ლენინის გაცივებულ ნეშთის წინაშე ფიცს ვსდებ არამც და არამც არ უღალატებო მის იდას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლო კომუნისმის დროშის ქვეშ მუშათა გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს კომპარტიას.  
გაუმარჯოს კომინტერს.

**ბაგრატ უჩანეიშვილი.**

—:—

1907 წლიდან მე ვირიცხებოდი რ. ს. დ. მ. პ. მენშევიკების წევრთ, დღეს სეთი დევდარიანის, ვ. მხალაძის წერილების გამოქვეყნების და ილ. გიორგაძის ვერაგული მკვლელობის შემდეგ სრულიად დაფრწუნდი, რომ მენშევიკური პარტიის გეზი მუშათა კითხვებში უკვე გაკოტრებულია. ამიტომ გულწრფელათ ვსტოვებ ამ პარტიას და სრულიათ ვიზიარებ საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიის ყოფილ მენშევიკების მიერ მიღებულ 25—30 აგვისტოს დეკლარაციებს. ვეცდები, რომ ყოველივე ჩემი ძალ-ლოხით ვავატარო ცხოვრებაში მათი დადგენილებები და რეზოლიუციები.

**პეტრე დავითის ძე თომაძე.**

მე ვირიცხებოდი 1917 წლიდან ამხ. მარ. ორგანიზაციის წევრთ. ვიდრე 1923-დი ვეწეოდი არა ლეგალური მუშაობასაც მაგრამ დღეს დაფრწუნდი. რა სინამდვილეში, ვსტოვებ ამ ორგანიზაციის არალეგალურად დარჩენილ რიგებს და უერთბები საქ. ამხ. მარქს. ყრილობის ყველა დადგენილებებს.

**მიხე რამიშვილი.**

1917 წლიდან 1924 წლამდე მე ვითვლებოდი საქ. ახალ გარზდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრად დღეს შემდეგ ვუერთბები ყოფილ ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციების კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციებს და ვტოვებ ამ ორგანიზაციის არალეგალურ და ლეგალურ რიგებს.

**ნიკო ბაჟუნაიშვილი.**

სარედაქციო კოლეგია:

- ა. ფარნივეი.
- ა. რუხაძე.
- კ. თოფაძე.
- კ. შენგელია.
- გ. ვარდიანი.